ნაპალოული

საუგანგებოდ-პუბლიკური
-ეროვნულ-თეატრალური-

1979

-1919-

ოქტომბერი № 10

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ს ა რ ჩ ე ვ ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I—სურათი 1

II—ქაჯი,—დექსი გეთესი, (თარგმ.) ს. შანშიაშვილისა. . 3

III—ნადირობა,—ირ. ევდოშვილისა 5

IV—შემოდგომის სურათი,—(დექსი) დ. თურქოსტირელისა 12

V—გოგილა ბიჭი,—(ხალხური დეგენდა) ვ. თამრიშვილისა. 14

VI—თეთრი მონა,—ხირიაკოვისა (თარგ.), ელ. ანტონოვსკისა. 18

VII—მამა და შვილი,—(დექსი) გ. ქუჩიშვილისა. . . 36

VIII—მემამულე,—(იგავი) ალ. მირიანაშვილისა. . . 38

IX—ბეთხოვენის სიკვდილი,—(თავისუფ. თარგ.) ან. ივანიშვილისა 39

X—საქართველო,—(რწმენანი ან ჩვეულებანი) მ. ჯანაშვილისა. 44

XI—ყინულის მთა,—(თარგ.) ლ—ისა. . . . 52

XII—მითოლოგია,—ტროადის ომი,—ალ. მიქაბერიძისა. 55

XIII—ომი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. . . 60

XIV—გასართობი: გამოცანები, რებუსი და აღსნა. . 63

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ს. კერესელიძისა, გრიბოედოვის ქ. № 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაჯი.

(გეთესი).



ს ვინ მოჰქრის ასე გვიან ტყეში, ღრეში, ღამე ბნელში?
მხედარი ცხენს მიაჭენებს—უკავია ბავშვი ხელში.
მჭიდროდ მკლავი შემოურტყავს და იხუტებს თვის უბეში.
— შვილო, სახეს რისთვის ჰმალავ, რისთვის გითრთის ეგრე ტანი?
— ნუ თუ ქაჯსა ვერა ჰხედავ, მამავ, იგი ვერ იცანი?
თავს ადგია მას გვირგვინი, შემომცქერის კუდიანი.
— შვილო, ნისლის ნაგლეჯია, ღამის ქარით მონატანი.
— მო, წამომყე, გენაცვალე, კარგო ბავშვო, ნაზო გრძნობით;
„არ მოგაწყენ, თავს შეგიქცევ სხვა-და-სხვა გვარ თამაშობით.
„წყლის ნაპირას გაგატარებ, ჭრელ ყვავილებს ჰნახავ რგულსა;
დედაჩემი საცმელს მოგცემს ოქრომკედით მოქარგულსა.
— მამაჩემო! მამაჩემო! გესმის, ქაჯი რას მპირდება?

— იყავ მშვიდად, ჩემო შვილო, ნურაფრის ნუ გეშინ-
ქრება!
ხმელს ფოთლებსა ქარი არხევს, ის ზუზუნებს, არ ყუჩდება.
— ბავშვო, ბავშვო, განა არ გსურს ჩემთან ერთად წა-
მოხვიდე?
„მოგივლიან ქალიშვილნი, გიმღერებენ სხვანი კიდე.
„იცეკვებენ, გაჰმართავენ ღამით წრესა და ფერხულსა,
„და მოგგვრიან ნელის რწევით, ტკბილის ნანით ძილის რულსა.
— მამაჩემო, მამაჩემო, ხომ კი ჰხედავ იმ ხიო ძირას
ქაჯის ქალნი ირხევიან მიყრუებულ ძნელ ადგილას.
— ჩემო შვილო, კარგად ვხედავ, ნუ გეშინის, მომეც
ხელი:
ღამის ბნელში გამოსჭვივის თეთრად ძეწნა ძველის ძველი.
— მომწონს, ბავშვო, შენი სახე, გიხსენიებ ასე ქებით,
ეს იცოდე: ძალას ვიხმარ, თუ არ მომყე შენის ნებით.
— მამავ, მამავ, ტყისა ქაჯი ჩვენკენ მოდის, დამიფარე;
ხელი მტაცა, ტკივილსა ვგრძნობ, მამავ ცხენი ააჩქარე.

—

მგზავრი ცხენსა მიაქროლებს, შემკრთალი და შენაზარი,
ვაით ბინას მიაღწია, ხელთ კი ეპყრა ბავშვი მკვდარი.

თარგ. **ა. შანშიაშვილისა.**





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნადირობა.

(უძღვნი ს. მელიქიშვილს).

ალამოთი პატრონტაში ჩამოვიღე კედლიდან და პატრონები გავიმზადე.

ჩემი არაბო გაფაციცებით მადევნებდა თვალ-ყურს. ხანდისხან მოკრძალებით მომიახლოვდებოდა, თითქოს ეშინოდა, რომ ხელი არ შეეშალა, და სიამოვნების ნიშნად წინა ფეხებს მუხლებზე შემომალაგებდა ხოლმე.

დილა ადრიანად სანადიროდ უნდა წავსულიყავ, და ამას კარგად ჰგრძნობდა არაბო.

როდესაც ყველაფერ სამზადისს მოვრჩი, სანადირო ტანისამოსიც ლოგინთან ახლო დავილაგე და დავწექ დასაძინებლად. არაბომ რამდენჯერმე შეჰხედა პატრონტაშს, თოფს, სანადირო ტანისამოსს და ისიც იქავე, ჩემს ახლოს, იატაკზე წამოწვა.

მე მალე მიმეძინა. არაბოც რასაკვირველია თვალს მოატყუებდა. მაგრამ ჯერ პირველი განთიადი კარგად არც-კი იყო დაწყობილი, რომ უცებ გამომელვიძა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აფ! აფ! აფ!“ მიყეფდა არაბო და თან ფეხებსა მკვემდა საბანზე.

„მოიცა, მოიცა, ჩემო არაბელავ; მოიცა, მეთქი, შე ვერანო: ცოტა კიდევ ჩავთვლიმო!“ შეუტიე არაბოს, მაგრამ ის აღარ მასვენებდა.

„აფ! აფ! აფ! გამოიღვიძე, დროაო,“ მიყეფდა არაბო და თან წკმუტუნებდა, სტიროდა: „ჩქარა, ჩქარა ადექ, თორემ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიანო.“

რა მექნა, უნდა ავმდგარვიყავ. მართლაც და ეს ჩვეულებრივი დრო არ იყო ჩემი სანადიროდ წასვლისა.

არაბომ კარგად იცოდა ეს დრო და ამიტომ გამაღვიძა კიდეც.

* * *

ზაფხულის გრილმა ღამემ დამბერა სიო და მთლად გამიფანტა ძილის ბურუსი. მალე გავიარეთ სოფელი და შეუდექით მთის კალთას, რომელზედაც დაბურულ ხეებ შუა ბილიკი მიდიოდა. მართალია, მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ ატეხილი ტყე ადგილ-ადგილ ისე გადაჰხვეოდა ერთმანეთს, რომ თვალთა-წინა არა სჩანდა. ბილიკი ხშირად ღრმა ხრამის პირას გადიოდა. ის ზოგან ისეთი ვიწრო იყო, რომ საკმარისი იყო ერთი ფეხი არ გადამედგა სწორედ და შეიძლებოდა, თუ მთლად სიცოცხლეს არ გამოვსალმებოდი, კლდეში გადაჩეხით გვერდები მაინც ჩამმტვრეოდა. წყვდიადში არაბოსაც კარგად ველარ ვარჩევდი, რადგანაც ჩემი არაბო არა ნაკლებ შავი იყო ღამეზე.

მაგრამ მე თუ კარგად ვერ ვხედავდი გზას, სამაგიეროდ არაბოს ერთი ნაბიჯიც არ ეშლებოდა. ის მიდიოდა ჩემ წინ, მე-კი მის ფეხის ფაჩი-ფუჩს მივსდევდი. ხანდისხან-კი, როდესაც მეტის-მეტად საეჭვო იყო ხოლმე რომელიმე გასავლელი ადგილი, საკმარისი იყო შევმდგარიყავ, ხმა მიმეცა არაბოსთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისიც ფეხებზე დაშიწყობდა ხოლმე კუდის ცემას და ასე ამაცილებდა საშიშ ხრამს.

დიალ, ჭკვიანი იყო, ჭკვიანი და გონიერი ჩემი არაბო!

განთიადისას უკვე ავალწიეთ მთას. აქ-კი ჩემს თვალ-წინ გადიშალა ლანგარივით სწორე მინდორი, რომელიც ყანას ოქროს ფერად აელამაზებინა.

ადგილ-ადგილ, პატარა კორდებ შუა ტბები მოსჩანდა. ისინი თრთოდნენ დილის ნიავზე, ხან იშლებოდნენ, ხან თეთრ ქარავანივით მიიზლაზნებოდნენ. საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ ეს პატარა ტბები დასვენებულიყვნენ ოქროს ფერ ყანის თავთავებზე, ეხვეოდნენ მათ გარშემო. ზოგი ზოლ-ზოლად შიგ ყანის გულში ჩადიოდა და აქ იწვიმებოდა ნამებად, ზოგი-კი ჰაერში იფანტებოდა... ჰქრებოდა. მაგრამ ეს საკვირველი იყო მხოლოდ უჩვევ თვალისთვის; მას მართლაც ტბები ეგონებოდა. მე კი კარგად ვიცოდი, რომ ეს იყო ლეგა ნისლი, რომლისათვისაც განთიადს მოესწრო, დილის ნიავს დაეყო ნაჭერ-ნაჭერ და ახლა ყანების გულზედვე დნებოდნენ ცვარ ნამებად.

„მოიცა, არაბო, მოიცა ცოტა, მზემ დაჰკრას ყანას, შეაშროს!“

ურჩევდი არაბოს, რომელმაც უკვე მოასწრო ყანებში განავარდება და თვისი შავი ქურქის ნამებით გაბანვა.

მაგრამ არაბო აღარ სცხრებოდა;—ის შევარდებოდა ყანაში, შედგებოდა იქ და შემომხედავდა: აცა, გადმოიღო თოფი მხრიდან,—შეუდგებით თუ არა ნადირობასო.

სწორე გითხრათ, მეც მეტი ველარ მოვითმინე, მონადირის საღერღელმა ხელი დამრია და შევერიე მაღალ, ნამიან ყანაში.

არაბოსაც ეს უნდოდა. მან კუდი გაიბზიკა, ერთი-ორჯელ შედგა უკანა ფეხებზე, გაჰხედა ყანის სიგრძე-სიგანეს, რომ დაენახა როგორ და საით ეძებნა მწყერი, და შეუდგა თავის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თოფ-გამზადებული მივდევდი არაბოს უკან. ბევრი მოლოდინი არ დამჭირებია. მალე არაბომ ჩემიდან სულ ექვსიოდ ნაბიჯზე წამოაფრინა მწყერი, რომელიც ჯერ მაღლა აეშვა ისარივით, შემდეგ-კი გასწორდა და შურდულივით გაეშვა ჰაერში.

დაიგრიალა ჩემმა თოფმა და სიცოცხლე-გამოსალმებული მწყერი დაეშვა ყანაში. არაბოს თვალებს არც ეს გამოეპარა. ვიდრე მე დაცლილ პატრონას გამოუცვლიდი თოფს, იმან მოკლული მწყერი პირით მომირბენინა. დედა მწყერი იყო, ზორბა და ჩასუქებული. ეჭვი არაა, აქ მამა მწყერიც უნდა ყოფილიყო და, რასაკვირველია, მათი ბარტყებიც. ერთი სიტყვით—მთლად მათი ოჯახობა. არაბომ თავისი საქმე კარგად იცოდა და იმავე ადგილს მოურბინა. არც შევცდი. მალე მამალი მწყერიც ბზრიალით ამოფრინდა ყანიდან, მაგრამ ვერც კი მოასწრო კარგად გაემართნა ფრთები, რომ ჩემმა თოფმა ისიც უსიცოცხლო დაუშვა ძირს. მათ ბარტყებიც ზედ მივა ყოლე.

მალე ჩემ სანადირო ქამარს მთელი მათი ოჯახი უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა. მე თავ-დავიწყებული ერთი ყანიდან მიორეში გადავდიოდი და ისე არ მივატოვებდი არც ერთ მათგანს, რომ მოკლული მწყერი ქამარზე კისრით არ ჩამომეკიდნა

ხანდისხან-კი, როდესაც მეც მომატყუებდა ხელი და თვალი, ავაცდენდი ნიშანს და სიკვდილ-გადარჩენილი მწყერი შიშისაგან ერთი-ორად ფრთებ-დაჭიმული მიზუზუნებდა ჰაერში ტყვიასავით, არაბო ჯერ მას გააყოლებდა გაელვარებულ თვალებს, მერე-კი მე შემომხედავდა ხოლმე უკმაყოფილოდ. მაგრამ, ვინ იცის, როგორ უხაროდა მწყერს-კი ამ დროს, რომ გადარჩა ჩემი თოფის საფანტებს და ისიც არ მიემატა ჩემ წელზე ჩამოკიდებულ თვის უბედურ მოძმეებს.

შუა დღის მზემ თვისი სხივები კისერზე დამაჭირა. საშინლად ჩამოცხა. დრო იყო შესვენებისა. ველარც არაბო ეძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა ხალისიანად: ისიც დაიღალა. მივავლ-მოვავლე თვალი ახ-ლო-მახლო ყანებს და გავსწიეთ ორივემ ტოტებ-გაშლილ მუ-ხისაკენ, რომლის ჩრდილშიაც არა-ერთხელ მომისვენია. აქავე პაწია წყარო გამოწანწკარებდა და ჩვენც ეს გვინდოდა, რომ გავგრილებულიყავით.

მალე მე და ჩემი არაბო წყაროს პირს ერთად ვსაუზმობ-დით. ისიც და მეც სიამოვნებით დავცქეროდით უსიცოცხლო, ჩასუქებულ მწყერებს, რომლებიც მე წელიდან ჩამოვიხსენ. მე და ჩემი ძაღლი ახლა უსიტყვოდ ველაპარაკებოდით ერთ-მანეთს დღევანდელ ნადირობაზე.

„აი, ეს დედა მწყერი, ესეც მისი შვილი.“ —თითქოს მა-ნიშნებდა არაბო თვალებით. ორივე ერთად იყვნენ ჩახუტე-ბულნი. ოო, ეგენიც რა ეშმაკები არიან! ხანდისხან ისე გაი-ნაბებიან, ისე ამოეკვრებიან ყანის ძირს, რომ ვერც-კი გაარ-ჩევ მიწისაგან. ესეც მაგათი მეზობელი! იქავე ახლოს დასეირ-ნობდა, ალბად დილის მზით სტკბებოდა!“

„ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო არაბულავ, ჯერ-ჯერობით ოცდა ათი მწყერი გვაქვს, ცოტა გადაგრილდეს და ჩვენ საქმეს შე-ვუდგეთ.

გადაუსვამდი ხოლმე ხელს შავთავა არაბოს.

ამ ჩუმ მუსაიფში ვიყავით მე და ჩემი ძაღლი, რომ უცებ თვალი რაღამაც ცისკენ გაიტაცა. ავიხედე მაღლა, და უშვე-ლებელი ძერა გამალებული მოსდევდა რაღაც პაწია ფრინ-ველს. ელვასავით გამოშვებული ფრინველი ხან ქვევით დაე-ქანებოდა უცებ, ხან მოულოდნელად გაუსხლტებოდა გვერდ-ზე, ხან მაღლა შეჰკრავდა კამარას, მაგრამ ძერა მაინც არ ეშვებოდა; ისიც სულ ახლოს, თითქმის ერთი ნისკარტის გა-წვდაზე მისდევდა. მსხვერპლს და მის ქამანდებს თვისი მოქნი-ლი ფრთებით ასდევ-ჩასდევდა.

ზოგჯერ ისე დააფრინდებოდა ხოლმე, რომ აგერ, აგერ უკვე კლანჭებში ეჭირა, მაგრამ პაწია ფრინველი რაღაცნაირი თავისებური შეტრიალით ძერას უკან უსხლტებოდა. წინ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქანებული ძერა კვლავ მოტრიალდებოდა უკან, კვლავ იმა-
რთებოდა ჰაერში ბრძოლა, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო.
მაგრამ ვამჩნევდი, რომ პაწია ფრინველი თან-და-თან იღლებო-
და, ერთი-ორი წუთიც—და ის უკვე მტრის ბრჭყალებში იქნე-
ბოდა ისინი ამ დროს სწორედ ჩემს გასწვრივ შეტრიალდ-შე-
იბრძოლნენ. მოღლილი ფრინველი თითქოს თვის მწარე
ხვედრს დაემორჩილა, ფრთები მოუდუნდა, ეჭვი არ იყო—
მალე ჰაერში ჩისი სისხლიანი ბუმბული გაიფანტებოდა.

„აფ! აფ! აფ!“ შეუყეფა ამ დროს არაბომ. ძერამ ჩვენ
მხოლოდ ახლა შეგვნიშნა; ის შეკრთა ჩვენს სიახლოვეზე, გა-
ტრიალდა უკან და წავიდა მაღლა, მაღლა. მოღლილმა ფრინ-
ველმა იგრძნო მტრის მოშორება, მაგრამ სჩანს მეტი ფრენა
ძას აღარ შეეძლო, იმან თითქოს იგრძნო, საიდანაც გადაურ-
ჩა მოსისხლე მტერს და დაეშვა იქით, სადაც მე და ჩემი არა-
ბო ვისხედით. მაგრამ იგრიალა ამ დროს ჩემმა თოფმა, და ის
ფრთებ-მოკუმული წამოვიდა ძირს. როდესაც არაბომ ის წყა-
როდან ამოიღო და მომირბენინა, მხოლოდ მაშინ ვიცან,
რომ ეს გვრიტი იყო,—ლამაზი, კოპწია, ფრთებზე ოდნავ წი-
თელ-ფერ დაკრული და გულ-თეთრა გვრიტი. ვინ იცის რამ-
დენჯერ დავმტკბარვარ მისი მშვენიერი ცქრიალით, როდესაც
ის მინდორზე ჭია-ღუას, პურის მარცვლებს ან ბალახის თესლს
ეძებდა! ვინ იცის რამდენჯერ დავმტკბარვარ ზაფხულში, შუა-
დღისას, სიცხის დროს, როდესაც ყველა მგალობელი ფრინ-
ველი გაჩუმდება ხოლმე და ის-კი ღუღუნებს, ღუღუნებს
ტკბილად, თითქოს გულში სტირის, თითქოს ვიღაცას ემუ-
დარებაო.

დიაღ, ბევრჯელ, ძრიელ ბევრჯელ მომსმენია მე მისი
ტკბილი ხმა, და აი ახლა, ის ორივე ფრთებ-მოწყვეტილი,
რომლებითაც დიდხანს იგერიებდა მძლავრ ძერას ჰაერში,
მიწაზე დასცა ჩემმა თოფმა. გვრიტი ჯერ ისევ ცოცხალი
იყო. ის ჯერ ისევ სიკვდილს ებრძოდა, მაგრამ ამაოდ. ო რ-
ჯელ, სამჯერ მომაშტერა თვისი შავ-წერტილიანი თ ეთრი

თვალები, მერე დაუშვა თავი მოკლულ მწყრებზე, ეფიქრა, მათაც დაჰქვითინაო, შეთრთოლდა და განუტევა სულიგალიბალი.

ძერა-კი ამ დროს ჩემიდან შორს წასული ამაყად სრიალებდა ისევ ჰაერში, და თითქოს იქიდან მითვლიდა: მე, მე თუ ძერა ვარ, სისხლის მსმელი, შენ ხომ ადამიანი გქვიანო!

ი. ევდოშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ.

ნახე — შვენების ბაღნარსა
შემოსძარცოდა ფოთოლი,
განუსაზღვრელი სევდისგან
ცრემლი სდიოდა ობოლი.

—

მზის სხივისა წილ, ბორიო,
შავ ჩადრში გამოხვეული,
დასისინებდა მჭენჯნავად
უგზო-კვლოდ მსრბოლი, ეული.

—

ზაფხულში ჯავარ-აყრილი
ია, ნარგიზი, სუმბული
დღეს მიწაზედა ესვენა
დამჭკნარი, სულ-მიღებული.

—

ნაკადი ტიტველ ბორცვებზე
ჰკვნესდა, ჰგოდებდა მწარედა,
წალკოტის გაპარტახებას
აცნობდა სულ სხვა არეთა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსთქვამდა: აღარ ყვავილობს
ტურფა, ლამაზი მხარეო,
არ დაჰნათიან უხვადა
მზე, ვარსკვლავთ ჯარი, მთვარეო.

—

ყინვავ, შე შესაზარელო,
ეგზომ რად გამამწარეო,
ჩემი სამშობლო ქვეყანა
ულვთოდ რად დაამჭკნარეო?!

—

ნაკადის მწარე მოთქმასა
მთათ ხომლი იმეორებდა
და თვის ციცაბო კალთებზე
ცრემლთ კურცხლებს მიაგორებდა.

—

იქვე-კი... ყვავი, ყორანი
ბუნების გლოვით სტკბებოდა
და მძაფრ ქარისა ქროლასა
„ყვა-ყვათი“ ეგებებოდა.

დ. თურდოსპირელი.

გოგილა ბიჭი.

(ხალხური ლეგენდა)



ვენ მეხრე ბიჭებში არაკად გამიგონია, ვითომ ზაფხულის მიწურულებში, როცა გვალვა ჩამოვარდება და მიწა სიცხისაგან დასქდება, საქონელი მეტად შეწუხდება უბალახობით, და ავდარი უჭირს მთელ ქვეყანასა,—ვინც სისხამ დილაზე, ჯერ ბინდ-ბუნდზედა, ავა მთის მაღალ კალთამდის, იქ წყაროზე პირს დაიბანს და მთას, დიდსა და დინჯსა, დილა მშვიდობისას უსურვებს [1]), ის დიდ სიკეთეს უზამს ქვეყანას: მთა გულს მოიბრუნებს ბარისადმი და ავდარს ჩამოგზავნის; პირველ შემოდგომის ავდარზე გიზი [2]) მოვა და საქონელიც ამ დუხჭირობას დაეღწევა.

გოგილა ბიჭი კაი მეხრედ ითვლებოდა: იმაზე ადრე საქონელს წყალს არვინ დაალევინებდა, უკეთეს ყორულს [3]) ვერვინ შეურჩევდა.

მარიამობისთვე როცა იწურებოდა და ცას ნამი თიბათვიდან არ გავარდნოდა, სიცხისაგან ბალახი ილეოდა და ტყეს ფოთოლი ეფშრუკებოდა,—გოგილას პატარა ყარასა [4]) თითქოს ეხვეწებოდა, ადი მთასთან და ნამი დამანახვეო.

---

[1]) ჩვეულებაა, პირის დაბანვის შემდეგ მისალმება.

[2]) ავდრის შემდეგ მოსული ს წიწკნარი ბალახი.

[3]) საძოვრად გაშვებული მინდორი.

[4]) მოზვრის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც არ დაუნახავს, თუ რა გაჭირებით სწიწკნის ხელ-ბალახს პატარა დეკეული, და-რიალებულ ბულისგან ჩაძ-წვარ ბალახს როგორ ჩაბღუის ხარი,—იქნებ ვერც-კი გაიგოს წუხილი გოგილასი, ან დიდი წადილი მთასთან ლაპარაკისა.

— ბიჭო, გოგილავ, ე ცამ რომ ესე პირი შეიკრა, რა გვეშველება? წყლებიც-კი დაშრა ბ მინდორს მტვერი ასდის!— შეეკითხებოდა ხოლმე მეველე ანდრია ჩაკლდევებულ დაღმართ-ზე გადამჯდარ გოგილას და ზლაზვნით გაემართებოდა სოფ-ლისკენ, პასუხსაც არ მოუცდიდა, არც შედგებოდა.

ჩაჰქინდრავდა თავს გოგილა და გეგმას აწყობდა, რო-მელ ყორულისკენ გარეკავდა საქონელს, თუ მიწა დასველდე-ბოდა.

— გახედე, თევდორავ, ი მთაზე რა დაწმენდილი ნისლი და ღრუბელია! ბებერ ხეებსაც ქოჩორი როგორ გადაუვარ-ცხნიათ?!—ეტყოდა გოგილა ამხანაგსა.

— მაშ არა და, ჩვენ ტყეს ეგვანება! აგერ კუნელს და-ხე, როგორ მოკუზულა, თითქო მიწაში ჩაძრომას ეშურებაო.

შენ ეგ რა გინდა, დილის ნამიც გამაილია, სისველე არა აქვს დილ-დილაობით მინდორსა!

— ეს დაღრეჯილი მუხა ხო გულს ასიებს, იტყვი—სა-ტირლად ემზადებაო; იტირე შენი თავი, შე გასაჩანაგებელო, და გაათავე,—ბრაზობდა გოგილა.

— სიმინდებს ამტვრევენ და ცოტა შეღავათი მიეცემა საქონელს წყლისკენ ნასიმინდრებში. გულს იკეთებდა თევ-დორა.

— თევდორა, ბიჭო, ერთი დღით ჩემი საქონელი ჩაიბა-რე და მაგიერს გადვიხდი!

— სად მიდიხარ, სოფელში?

— არა, მთისკენ წავალ დილაზე ადრე და, თუ ერთ დღეზე არ მოველ, ჩვენებს შეატყობინე.

— რამ გაგაგიჟა, კაცო, სად უნდა წახვიდე: სადაც ქვე-ყანა, შენც იქ. სხვის საქონელი რაღა ქეიფშია!?

— არა, გულს გავართობ კიდეც, თორემ ეს ცხოვ-ბელ-ლმა შემჭამს. წავალ დილაზე ადრე: ჯერ მამალს გათენებისა-ა არ ეყივლოს. —იჟინებდა გოგილა.

— თუ წა'ვლა გინდა და ალარ იშლი, პირველ მამლის ყივილისას უნდა წახვიდე, თორე მზე ამოგასწრობს. მზე მძი-ნარა როდია! —ურჩია ამხანაგმა.

——

ჯერ ღამე გატეხილი არ იყო, შუალამე გასული-კი იყო, როცა გოგილა სახრით ხელში და ზურგზე გუდით მთის პირ-ველ კალთასთან მიძუნძულებდა, თან გულში სიხარულს გრძნობდა, ზევიდან წვიმებისაგან დაღვრეჭილი ღრუბლის ნაგლეჯები ბამბის ქულასავით მთის წვერს თავს ევლებოდ-ნენ, როგორც ფარვანა კვარის შუქსა.

ტყის ბილიკი, ძაფის ხვეულივით არეულ-დარეული და ანკარასავით დაკლაკნილი, ტყეში ქურდულად დაიპარება და გოგილა ბიჭსა თავის ქეიფზე დააბძანებდა.

თვალი მალია და მანძილს ჰყლაპავს: ახლო მთა შორდე-ბოდა, თითქო ლანდივით უკან იხევდა და გოგილას აღიზ-ანებდა; ბილიკიც სადღაც იკარგებოდა, ფანქარით დაწერილ-სავით იშლებოდა და ირეცხებოდა.

წადილი მთასთან ლაპარაკისა გულში ღვივდებოდა, შე-ბერვას ელოდა, აპრიალებულიყო და გოგილას იტაცებდა ზე-ვით, მგლის მუხლს აბამდა პატარა ბიჭსა, ალომგულებდა...

მთა ზევით მიიწევდა, ზვიადდებოდა და პატარა ბიჭს თვისკენ იწვევდა...

მას შემდეგ გოგილა ბიჭი ბარში არვის უნახავს...

——

აგერ, ჰხედავთ? მთას ნისლის მაზარა ისევა ჰხურავს, თოვლის ქუდი თვალებამდის ჩამოუფხუტავს და სთვლემს, ამ-თქნარებს!

ამბობენ: მთის ახლო კალთაზე წამოჭიმული ვერხვი გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილა ბიჭმა, ყოველ განთიადზე დილას უსურვებს მშვიდობა-სას მდუმარე მთას და ფოთლების შრიალით ბარის ამბებს ეჩურჩულება ბატონ მთასა.

სალამო ხანზე სიმღერაც იცის, თუ ზევიდან ნიავი ჩამოიპარა; სიამით გასცქერის ბარის მინდვრებს და იქ გატარებულ ბავშვობას.

წვიმა აღარ იგვიანებს, გიზი გახშირდა და საქონელმაც სული მოიდგა!

ვ. თამროშვილი.





თეთრი მონა.

(ამბავი სირიაკოფისა).

I.

სადგური. მატარებელი ნელა მოუახლოვდა და დადგა. აივანი მგზავრებით აივსო. მებარგულები დაფაცურობენ ვაგონებში. სასტუმროს მსახურები გაჰკივიან სასტუმროების სახელებს. სქელი კონდუქტორი დინჯად დადის და იმეორებს ერთსა და იმავეს: „სადგური კურსგოფი, მატარებელი ოცდა ათ წუთს გაჩერდება. სასადილოა.“

— ალექსი! შენი ბარგი სულ მოგაქვს? სკამებ ქვეშ არა დაგრჩა-რა?—მკითხა ბიძა-ჩემმა.

— მგონია: ბალიში, ბოხჩა, ნემს-კავი...

— რამდენი ნაჭერი იყო?

— არ დამითვლია,—ნემს-კავი, ყუთი...

— რა უხეირო ხარ!.. თოთხმეტის წლის ვაჟკაცია და ვერ დაუთვლია, რამდენი ნაჭერი ბარგი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიძია! ისეც მახსოვს, რაცა მქონდა: ბოხჩა, ბალიში...

— ბალიში მებარგულეს მიეცი... მებარგულე, მგონია სულ მიგვაქვს ჩვენი ბარგი. თაროებზე აღარა არის რა? არც სკამებ ქვეშ? ძაშ წავიდეთ.

როგორც იყო, გავატანეთ მოგზაურების ბრბოში და გავედით სადგურის დერეფანზე. ერთი წუთის შემდეგ ხალვათი, ოთხი კაცის საჯდომი ეტლი გაფრთვინებული წყვილი ცხენით მიგვაქროლებდა ქალაქის მტვრიან ქუჩებზე. ცოტა ხანს უკან ქვითკირის სახლები, კრამიტიანი დაქნილი ბანებით და ქვაფენილი ჯანჯღარა ქუჩები უკან დაგვრჩა. ეტლი მსუბუქად მიგორავდა გზატკეცილზე, რომელიც ორივ მხრიდან დაჩრდილული იყო ცაცხვის ხეებით. აქა-იქ მოჩანდნენ ლამაზი აგარაკები.

ათი წუთის შემდეგ მომცრო სასტუმროსთან შევჩერდით ზედ ზღვის პირზე.

— ალექსი, შენ პატარა ხანს გაისეირე, —მითხრა ბიძიამ, — მე კი აქ მივალაგებ ბარგს.

— მეც გიშველიდი... ძია...

— არა, შენ მხოლოდ დამიშლი, მე თითონ მინდა ყველა ფავის ადგილას დავდო. წადი, გაისეირე... ბალტიის ზღვა ნახე...

გამოვედი. ბნელი დერეფანი და ნათელი დიდი სასადილო გავიარე. გავედი განიერ დერეფანზე. საიდანაც ჩანდა ზღვა. ახლად გაშლილ იასამნის ბუჩქებს გაუარე და დავიწყე ხეტიალი ზღვის პირას.

ქვიშიანი სწორე ზღვის პირი სავსე იყო პირისფერ ლოკოკინებით. შიგა-და-შიგ დიდრონი მიხაკის ფერებიც ერია. ზღვის პირი სქლად დაფენილი იყო რბილი, ხალიჩასავით ზღვიდან გამორიყული შავი ბალახით, რომელშიაც, როგორც მერე შევიტყეთ, პატარა ქარვის ნაჭრები იპოებოდა. ზღვიდან ქარი მოჰქროდა და მოაგორებდა თეთრ ქაფიან ტალ-

ღებს, რომლებიც დიდ მანძილზე მოგორავდნენ და ისევ ბალნ-
დებოდნენ სხვა მომავალ ტალღებთან შესაერთებლად. ჰაერი
გაჟღენთილი იყო უცნაური, მაგრამ სასიამოვნო და გამა-
მხნევებელი სუნნელებით. ნაპირიდან მოშორებით ნაკლებად
სჩანდა იალქნიანი ხომალდები.

შინ რომ დავბრუნდი, ბიძა ჩემს კიდეც დაელაგებინა
ოთახი: ბარგი საწოლსა და დივან ქვეშ ეწყო; ყველა ნივთს
თავისი დანიშნული ალაგი ეჭირა.

— აი ეს შენი მაგიდა იქნება,— მითხრა ბიძიამ და მიმი-
თითა მწვანე მაუდით გადაკრულ მომცრო კაკლის მაგიდაზე.
შეგიძლიან აქ ისწავლო განვლილი გაკვეთილები, თორემ შე-
მოდგომისთვის სულ დაგავიწყდება; მაგრამ ყველაფერი თავის
რიგზე უნდა მოაწყო.

ახლა გაისუფთავე ტანისამოსი, შენც გასუფთავდი: შავ-
რინებთან უნდა წავიდეთ. გახსოვს შავრინი? შარშანწინ ზამ-
თარს რომ იყო ჩვენსა; სქელი კაცია, ჩაჯირკული.

გავედით ორივ მხრივ ხეებ ჩარგულ განიერ ქუჩაზე; აქეთ-
იქით, სულ ლამაზი აგარაკები იყო ჩამწკრივებული. შეუხვიეთ
მეორე ქუჩაში. ამ ქუჩას აღარც ხეები ამშვენებდა და აგარა-
კების მაგივრად თეთრად გალესილი სახლები იდგა წითელ
კრამიტიან დაქანებულ ბანებით. ოც წუთს შემდეგ მივედით
შავრინთან.

შავრინი, მაღალი, სქელი, ორმოც წელს მიტანებული
კაცი, სიამოვნებით მოეგება ბიძა ჩემს—გიმნაზიაში მეგობრები
იყვნენ—და შეგვიყვანა სასადილო ოთახში.

— მიამა, რომ მოხვედით,—ამბობდა შავრინი. მიგვიწვია
და დაჯდა სასადილო მაგიდასთან, ხელსაწმენდი შემოიკრა
სქელ კისერზე.—შენი ალექსისთვისაც ამხანაგები მყვანან. პე-
ტო! კოლა! გაიცანით ეს ახალგაზდა,—მიუბრუნდა ორ ყმა-
წვილს, რომელნიც ის იყო შემოვიდნენ.

ორივენი ერთმანეთს ჰგვანდნენ: სისქით, ქერა თმით,
ცის-ფერი თვალებით; უფროსი თითქო უფრო ცოცხალი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეტყობოდა კოხტაობდა. ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და დავსხედით. ამათ შემოჰყვა მესამე და, უცხოები რომ დაგვინახა, შედგა. სრულიად არა ჰგავდა შავრინებს: შავგვრემანი იყო, მუქი ხუჭუჭი თმა ჰქონდა და შუბლ-ქვეშიდან გამოიყურებოდა მოშავო თვალები. გაუბედავად მოუახლოვდა მაგიდას, თითქოს ეშინოდა, გამაგდებენო, გაუბედავადვე დაგვიკრა თავი და დაჯდა თავის ადგილას.

შავრინმა და ბიძაჩემმა მოიგონეს ძველი ნაცნობები და როცა ბიძაჩემი სახუმრო რასმე იტყოდა, შავრინი ხმა-მაღლა კასკასებდა და სქელი კისერი და სახე უწითლდებოდა; ყმაწვილებიც მორიდებით ხითხითებდნენ. მხოლოდ მესამე ყმაწვილი არ იცინოდა. სიცილი რომ ატყდებოდა, მაღლა აიხედავდა და გაოცებით შეჰყურებდა ყველას დიდრონი თვალებით. სადილს უკან შავრინმა ბიძა ჩემს ანიშნა იმაზე და დაბალის ხმით უთხრა:

— ამ უცნაურს თვეში ოცდახუთ მანეთს ვაძლევ. შარშან საფრანგეთში ვიყავი, იქიდან წამოვიყვანე,—ლატაკები არიან და ფული-კი უყვართ: ორმოც მანეთსა მთხოვდნენ, ერთ გროშად-კი არა ღირს; ჩემ შვილებს ერიდება და ძალაობით უნდა ამოაღებინო ხმა.

— კროკეტი ვითამაშოთ,—მითხრეს შავრინებმა, სადილიდან რომ ავდექით,—სამი კაცის თამაშობა მოუხერხებელია,—მეოთხე ალფრედი იქნება.

— ალფრედ! წამოდით ვითამაშოთ, — უთხრა პეტომ ფრანგულად.

ალფრედი უნდომლად წამოგვყვა.

— იქნება არ უნდა,—უთხარი პეტოს.

— ეგლა აკლია. როგორ გაბედავს უარს. თუმც მიუკარებელია და მგელივით გამოიყურება, მაგრამ ჩვენ ისეთი ალვირი გვაქვს მაგისთვის, რომ სანაქებო!..

— რა ალვირი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, არა ღირს მაგაზე ლაპარაკი; სჯობია ვითამაშოთ! ბურთები კარგია?

— არა უჭირს-რა.

— კორელის არყის ხისაა. აბა, გასინჯეთ, რა მძიმეებია... თითო ბურთი ხუთი მანეთი ღირს; მთელ სათამაშო იარაღში-კი მამამ თხუთმეტი თუმანი მისცა. მამას ძალიან ბევრი ფულები აქვს; თითო საღამოს ოცდაათ თუმანს აგებს და აინუნშიაც არ მოსდის. ერთხელ-კი ერთი გერმანელი, გვარად შულბერტი, გააჯავრა. ის ძალიან ძუნწია ..

— პეტო, ვითამაშოთ, მერე უამბე. შენ უნდა დაიწყო; წინა თამაშობა მე დავიწყე.

— ახლავ, ახლავ... კროკეტი არ გაგვექცევა, დიაღ, მამა ქალალდს თამაშობდა, შულბერტიც იქ იყო; მამას სიგარა უნდა მოეკიდებინა; აიღო ათ-თუმნიანი, სანთელზე აანთო, მოუკიდა სიგარას. შულბერტს უთხრა: იცით, სანთელზე მოკიდება სიგარისა არ ვარგა, სანთლის სუნი ასდევს...

შულბერტს კინალამ თვალები გადმოსცვივდა.

— კარგია, პეტო, გეყოფა ტყუილები,—აჩქარებდა კოლა:—ვითამაშოთ.

— მე ვტყუი?! როგორა ბედავ მაგის თქმას! წავიდეთ, ვკითხოთ მამას; წავიდეთ, ვკითხოთ... ჰო, არ გინდა?.. იცით, შულბერტს რომ სახე დაელმიჯა, მამამ ბევრი იცინა. მოიტა, წილი ვყაროთ, ვინ დაიწყოს.

გამარჯვება ხან ერთისკენ იყო, ხან მეორესკენ; ბოლოს ალფრედმა გაგვასწრო ყველას.

— უყურეთ ამ ეშმაკს,—გვანიშნა პეტომ ალფრედზე—ალფრედ!—განაგრძო იმან ვითომ-და ხუმრობით:—ალფრედ! როგორ მოხდა, რომ თქვენები ისე ძალიან დაამარცხეს? ეტყობა, თქვენი ჯარის კაცები მშიშარები არიან...

— მოღალატენიც არიან,—დაუმატა კოლამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფრედმა ხმა არ გასცა, მხოლოდ წამოწითლდა ... მაშობას ჩაუკვირდა.

— დაანებეთ თავი,—უთხარი პეტოს.

— მართალს ამბობთ,—ღრიალი არ მორთოს

ამ დროს ალფრედმა ბურთი გაატარა უკანასკნელ კარში და მოახვედრა ჩემ ბურთს; ორივე ერთად დასხა და ფეხი დააჭირა; ღონივრად დაჰკრა ჩაქუჩი; ხის ბურთი განზე გაგორდა და მოულოდნელად ფეხში მოხვდა კოლას. კოლამ ღრიალი შექნა. ამ ღრიალზე შავრინი და ბიძაჩემი გამოვიდნენ.

— რა გაყვირებთ? რომელი რომელმა მოკლა?

— ალფრედმა ბურთი მომახვედრა ფეხში, სლუკუნებდა კოლა.

— მერე ფეხი მთელი გაქვს? არ მოგტყდა?—ეკითხებოდა ხუმრობით შავრინი. —არა გრცხვენიან მაგოდენა ღრიალისა? —თქ ენ-კი, ალფრედ, ფრთხილად ითამაშეთ,—დაუმატა ფრანგულად.

— უცაბედად მომივიდა...—წაიდუდუნა მორცხვად ალფრედმა.

— არა, განგებ ქნა,—განაგრძობდა სლუკუნით კოლა: —პეტომ გააფხუკიანა, მაგან კი გაბრაზებულმა მე მომარტყა ბურთი. მე მხოლოდ უთხარი, ფრანგები მოღალატენი არიან მეთქი; თუკი მართალია...

— კარგია, გეყოფა,—შეაწყვეტინა შავრინმა ღიმილით. უეჭველია კიდეც გააფხუკიანებდა ფრანგს. ალფრედ! საღამოზე ჩემთან შემოდით.

— ძალიან ვისიამოვნეთ,—ეთხოვებოდა ბიძა ჩემი: შავრინს:—დროა წავიდეთ. ზოგი წერილი არ დამიწერია, მინდა დღესვე გზავნო. წავიდეთ, ალექსი!

გამოვეთხოვეთ შავრინებს და წავედით სახლში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

გაიარა რამდენიმე დღემ. ბიძაჩემი სამკურნალო წყალს სვამდა და შემდეგ თხუთმეტ წუთს ზღვის პირას დადიოდა. ჩემთვის ეს საჭირო არ იყო და დავეხეტებოდი ქალაქის მიდამოებში რამდენიც მსურდა

შავრინებს იშვიათად ვხედავდი, თუმცა ბიძა ჩემი კვირაში ორჯელ იმათსა ქალალდს თამაშობდა. მე სხვა ადგილები უფრო მიზიდავდა. იქვე ქალაქ გარედ იყო გძელი და ვიწრო ტბა, რომელიც არხით უერთდებოდა ზღვას; მომეტებულ დროს ამ ტბაზე ვატარებდი.

ადრე ვდგებოდი, მიმქონდა ნემსკავი, მოვძებნიდი მიმალულ ადგილს და ვიჯექ გაუნძრევლად, თან გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს ნემსკავის მოძრაობას. დილით ცივა—გაჟრჟოლებს და ელი როდის გამოჩნდება შორ ტყიდან ამომავალი მზე და გაგათბობს თავისი მადლიანი სხივებით. შინიდან წამოღებულ პურის ყუას ამოიღებ, დააყრი მარილს და მადიანად ილუკმები ორივ ყბით; თან თვალს არ აშორებ ნემსკავს. ჩიტებმა გაიღვიძეს, მხიარულად მოჰყვნენ ჭიკჭიკს და ფრთების წმენდას. კოტამ იხტუნა ნაპირზე, მაგრამ, რომ დაინახა გრძელი ნემსკავი, გაფრინდა. ცისფერი ჭრიჭინები ჭრიჭინებენ და ტრიალებენ ზღვის ზედა-პირზე. შორიდან ისმის ქარხანის საყვირის ხმა. მზე მაღლა მაღლა ამოდის და ლაზათიანად იკბინება. იქნება ბიძა ჩემი ადგა კიდეც. ავკრიფე სათევზაო იარაღი და წავედი შინ.

ბიძიას დაელია თავისი წყალი და საათს დაჰყურებდა.

— უთხარი, გეთაყვა, 15 წუთს შემდეგ ყავა მოგვიტანონ,—მითხრა იმან, აიღო ქუდი და წავიდა ზღვის პირას.

მე გავიცანი ერთი სამსახურიდან გამოსული მეზღვაური და მთელი ზაფხულით იმისაგან ხუთ მანეთად დავიქირავე ნავი. ვიქეიფე!.. მთელ არხს გავივლი და შევდივარ ტბაში; იქ იალქნებს ავუშვებ და გავცურავ ნავით ტბაზე; ან მივიმალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირ ლერწმებში და წარმოვიდგენ, რომ შორს, შორსაც დასახლებულ ადგილებზე. როცა ქარი არა ჰქრის, ზღვაშიაც ვბედავ შესვლას. ზღვა არ ღელავს, დამშვიდებული ტალღები არხევენ ჩემ ნავს; დიდრონი ტიფები ფრთების ფრთხიალით და ყვირილით დასრიალებენ ჰაერში და დაეძებენ საშოვარს.

ერთხელ დილა ადრიან ზღვის პირს მიმავალმა დავინახე ნაცნობი ადამიანი. ეს იყო ალფრედი. ქვაზე იჯდა და ვერ დამინახა. შეწუხებული სახე ჰქონდა და შორს გაჰყურებდა.

ნელა დაუძახე. შეკრთა და მოიხედა.

— ოჰ, თქვენა ხართ, ბ-ნო რუდოვცევო, — მითხრა ფრანგულად: — ვერ დაგინახეთ. რა ადრე დგებით. შავრინები უფრო გვიანა დგებიან.

— ყოველთვის ადრე ვდგები, — უპასუხე მე.

გავჩუმდით. მინდოდა მეთქვა რამე, ცოტად მაინც გამერთო ალფრედი, მაგრამ ვერა მოვიგონე-რა. ისიც ჩუმად იჯდა და თავის ჩექმების წვერებს დასცქეროდა.

ბოლოს ცოტ-ცოტად ლაპარაკი გავაბით.

— დიდი ხანია, რაც საფრანგეთიდან წამოხვედით?

— თითქმის ორი წელიწადია, სულ-კი ერთი წელიწადი უნდა დავრჩენილიყავ ამათთან. ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია ეს ჩემთვის!

— როგორ?

— ჩემი უფროსი ძმა მოურიგდა შავრინს და მითხრა, ერთი წლის შემდეგ დაბრუნდებიო. მე სულაც არ მინდოდა აქეთ წამოსვლა. ჩვენ სამნი ძმანი ვართ და ორი და; უფროს ძმას ცოლი და ორი შვილი ჰყავს. როგორც ხედავთ, პატარა არ არის ჩვენი ოჯახი. მამა დიდი ხანია მოგვიკვდა; დედა კი ორი წელიწადია დამბლად არის. რიშარმა, უფროსმა ძმამ, გადასწყვიტა, რომ მე ფული უნდა მეშოვნა, რადგან ერნესტი ჯარში წაიყვანეს. ისე მოურიგდა რიშარი, რომ ვერც კი მოვასწარ რიგიანად გამოვთხოვებოდი საცოდავ დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩემს და პატარა მარიეტას. ისეთი კარგი გოგონა, ... მეზობლის ქალია. დამპირდა, მოგწერო, როცა წერა-კითხვას ვისწავლიო. სულ პაწაწაა. საცოდავი დედაჩემი... ნეტა ვინ უვლის? ჩემი დები მთელი დღე ქარხანაში არიან; რიშარის ცოლიც თავის შვილებს უვლის.

ალფრედს თვალებში ცრემლი მოერია, პირი მიიბრუნა და გაჩუმდა.

— არ გინდათ ნავით გავისეირნოთ?—შევთავაზე მე.

ეტყობოდა იამა.

— დიდის სიამოვნებით! რაც მარსელიდან წამოვედი, ნავით აღარ მივლია.

საჩქაროდ არხთან მივედით, მოვხსენით ნავი და გაუდექით გზას. ზღვა დამშვიდებული იყო. ჩვენ ტბისკენ მივდიოდით, ნახევარ საათს უკან გავშორდით რკინის გზის ახალ ხიდს და მივცურავდით ლერწმებ შუა.

ალფრედმა პირველმა შესწყვიტა სიჩუმე.

— დედა ჩემი თითქოს გრძნობდა ჩვენ განშორებას. უკანასკნელ დროს ხშირად მეძახდა თავისთან. ლაპარაკი აღარ შეეძლო, მარჯხენა ხელს დამიქნევდა, თვალით მანიშნებდა, რომ გვერდს მოვჯდომოდი. მოუჯდებოდი. ხელს ტუჩებზე მომისვამდა,—ვითომ მელაპარაკეო, ხელს ხელზე მისვამდა და დამაშტერდებოდა. თვალები ისეთი ნაზი და მწუხარე აქვს... მომიტევეთ, იქნება თავი მოგაბეზრეთ ჩემი ლაპარაკით?..

— არა, არა, გეთაყვა. განაგრძეთ!

— რა ვქნა, არავინა მყავს, რომ გულ-ახდით ველაპარაკო. ბოლოს შევეჩვიე და ადვილად მესმოდა, რასაც მანიშნებდა დედა ჩემი... არ დაიჯერებთ — შარდოლას, ჩემი ძმის ცოლს, ხელსაც დაუქნევდა, თითებითაც ანიშნებდა, მაგრამ ვერას გააგებინებდა; მე-კი, როგორც შემომხედავდა, მაშინვე მივხვდებოდი რაც უნდოდა. ყველაფერს უკეთებდი; მერე მოუჯდებოდი გვერდით და ვუამბობდი რაც მთელი დღის განნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობაში მომხდარიყო: ან ტყეში როგორ წავედი, ან
როგორ დავინახე, რანაირი ყაყაჩო იშლება ბოსტანში, რო-
მელი წიწილა მოსტაცა ყვავმა მარიეტას—სულ, სულ, სუყვე-
ლაფერს; ის-კი, საცოდავი, დამიჭერდა ხელს და შემომყუ-
რებდა.

ალფრედი დაჩუმდა და სწრაფად მოუსვა ნიჩბებს.

— რა სასტიკად მომექცა რიშარი,—დაიწყო პატარა ხანს
უკან ალფრედმა:—რომ მომატყუა და ერთის წლით კი არ
მიმცა, არამედ რამდენ ხანსაც დავრჩებოდი. ვერ წარმოიდ-
გენთ რა დამემართა, როცა ერთის წლის შემდეგ რიშარი
მწერდა, რომ ისევ შავრინებთან უნდა დავრჩენილიყავ. სასო-
წარკვეთილება მეუფლა: მეგონა ვერ ვიცოცხლებდი, და მეო-
რე დღეს გავექეცი.

— რად გაექეცით?

— განა შავრინებმა არ გიამბესთ? ოლონდ საზღვრამდე
მივაღწიო და მერე შინამდინ ადვილად მივალ. შორს არ ვი-
ყავ, მაგრამ-კი ვერ მივედი. არა უშავს-რა, კიდევ ვიპოვი
დროს...

— მაინც, როგორ გაექეცით? მიამბეთ.

— საამბობიც არა არის რა. დილით ადრე ავდექი. შავ-
რინებს ეძინათ... თავში ფიქრმაც-კი გამირბინა, მინდო-
და ცეცხლი მომეკიდებინა გამომშვიდობებისას იმათი სახლის-
თვის. გადავწყვიტე, რომ ეს არ ივარგებდა. სახლი იმათი არ
არის,—უდანაშაულო ადამიანი დაისჯებოდა. სურვილი მქონ-
და... მაგრამ ვიფიქრე, რომ ყოველ შემთხვევაში ჩემი საქცი-
ელი—უკადრისია... სულმდაბლობა იქნებოდა...

რკინის გზის ლიანდაგს გავყევ, მხოლოდ მოშორებით,
რომ არავის დავენახე და არ დავეჭირე. მთელი დღე ვიარე:
ძალიან ცხელი დღე იყო. ერთ ჭაობში კინაღამ ჩავიფალ,
მთლად ამოვითხუპნე და შარვალიც დავიხიე.

საღამომდინ ხეტიალში ფეხები დამიბურცდა და სისუსტე

ვიგრძენ. შევედი სადღაც ტყეში, უალაგო-ალაგას ... ბალახზე და იქვე დამეძინა. დილით ვიგრძენ, ~~რომ ძალიან~~ მოშლილი ვარ: ხახა გამიშრა, საშინლად მწყუროდა და მშიოდა. ძლივს წამოვდექ და მივლონლილდი სადგურამდე წყლის დასალევად და პურის საყიდლად. ცოტა ფული მქონდა.

სადგურთან რომ მივედი, ვილაც კაცმა დამინახა და დაიყვირა: „ის არის, ის არის სწორედ! დაიჭირეთ!“ მე გავიქეცი. ორი დარაჯი გამომიდგა. საიდან მოვიკრიფე ღონე? გზას არ ვარჩევდი, მივფრინავდი უფიქრელად, მხოლოდ ერთსა ვგრძნობდი, თუ დამიჭერენ, საშველი აღარ მექნება მეთქი. დიდხანს არ მირბენია; უცბად არხს მივადექი; ვისკუპე და გადავხტი. მერე ბუჩქნარი დაიწყო... აქ-კი გათავდა ჩემი სირბილი: ეს იყო კუნელის ღობე. შემეძლო არხის ნაპირ-ნაპირ გავქცეულიყავ, მაგრამ მოსაზრება აღარა მქონდა და თან-დათან ეკლიან ბუჩქებში შევდიოდი. ეკლებმა ტანისამოსი და ტანი დამიგლიჯა; ხელები და სახე გასისხლიანებული მქონდა და მაინც ამ ბუჩქებს არ ვშორდებოდი.

დარაჯებმა დამიჭირეს, მე-კი ძალას ვხმაროობდი და ვყვიროდი: „გამიშვით! გამიშვით!.. მეთქი“ იმავე დღეს მიმიყვანეს შავრინთან, რომელმაც გამომიცხადა,. რომ რაც ჩემ საძებნელად ფული დახარჯა, სულ გამომირიცხავს ჯამავირიდან და ერთი თვის განმავლობაში არც ჩემებთან წერილის დაწერის ნებას მომცემს და არც იმათგან მონაწერის მიღებისას. ამის შემდეგ ხშირად მსჯიდნენ ამ სასჯელით. ისინი ამბობენ, რომ კარგი აღვირი იპოვეს ჩემთვის და მართალნიც არიან, რადგან შიშით, რაც ნებავთ, ყველას უსრულებ.

ალფრედი დაჩუმდა და ისევ სწრაფად მოუსვა ნიჩბებს.

— გახსოვთ,—დაიწყო იმან,—შავრინმა რომ მითხრა, სალამოზე ჩემთან შემოდიო. იმან დამტუქსა და ისევ ამიკრძალა დედასთან წერილის მიწერა. ძალიან-კი სცდება,—ცხარედ განაგრძო ალფრედმა, გადაყარა ნიჩბები და გაჯავრებით ჩაჰკიდა თავი,—დიაღ, ძალიან სცდება, თუ ოცნებობს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად დავმორჩილდი. რაც უნდა მომივიდეს, შიმშილსა და მოვკვდები და მაგათთან არ დავრჩები. რას მიშვრება!.. ჩემ-თვის გამოსადეგი ვიქნები უცოდინარი?.. როცა კარგად იყო, დედა მეუბნებოდა: „ისწავლე, ფრედი. როცა გაიზდები, დაჭკვიანდები, დედას დაეხმარები“... ახლა? აგერ თოთხმეტი წლისა ვარ და მხოლოდ წერა-კითხვა ვიცი და ანგარიში... კიდევ რამდენიმე წელიწადი, და ალარაფრისთვის გამოსადეგი ალარ ვიქნები. ვინ მიმიღებს? ყველა იტყვის: მუშაობა არ იცის, სასწავლებლად ალარ ვარგა — დიდია. სად წავიდე? არა, გავიპარები. ცუდი გზა ავირჩიე: სჯობია ზღვის ნაპირ-ნაპირ წავიდე, უფრო მოკლედაც მოვჭრი, ალარც გზა დამებნევა... აჰ, ამისთანა ნავი რომ მქონდეს! მოვუცდიდი კარგ ქარს, აუშვებდი იალქნებს და თვალსაც ველარ მომკრავდნენ...

— რომ დაიხრჩოთ?

— რა სათქმელია! მშვენიერად ვიცი იალქნების ხმარება. მარსელში ხშირად დავდიოდი ზღვაში, ძალიან შორსაც, რობერტ ნელენთან — მენავეა, სამსახურიდან დათხოვნილი მეზღვაური. რომ დამხვრჩვალვიყავ კიდეც, რა დიდი რამ მოხდებოდა. განა სიკვდილი ეგრე საშიშია?

ალფრედი ჩაფიქრდა და ოდნავ ანძრევდა ნიჩბებს. ნავი ნელა მიცურავდა ტბაში. მზე მაღლა იყო და კარგა გვაცხუნებდა.

— კარგა გვიან არის, — შევნიშნე მე, — შავრინები ძებნას დაგიწყებენ.

— დიაღ, დროა შინ დავბრუნდე, — დაფიქრებით სთქვა ალფრედმა, — თუმცა იმათ ისევ ეძინებათ, მიგრამ დაშურება სჯობიან.

მე. იმასთან გადავჯექი, ორივემ მოუსვით ნიჩბებს ხელი, ნავი სწრაფად მიდიოდა, შრიალით არღვევდა წყალს და ქაფიან კვალს სტოვებდა. ხმა-ამოუღებლივ მიველით ჩვენ ნავ-სადგურთან; გავედით ნაპირზე; მეგობრულად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს და თავ-თავის გზას გაუდექით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

ალფრედის ამბავმა ძალიან ამაღელვა. ამ ამბის წინად „ბიძია ტომის ქოხში„ წაკითხულმა მონების საშინელ ტანჯვის მოთხრობამ გამიტაცა და უცბად ასე ახლო დავინახე ისევ მონა, მხოლოდ თეთრი მონა...

შინ ვეშურებოდი; მინდოდა მეამბნა ბიძა ჩემისთვის, რა კაცი იყო შავრინი.

— ბიძა ჩემო, იცი რა საძაგელი ყოფილა შავრინი!— დავიყვირე მე შესვლისათანავე.

— ჯერ ერთი, მე შენთვის რამდენჯერ მითქვამს,—შემაწყვეტინა ბიძა ჩემმა,—უფროსზე ეგრე არ უნდა ილაპარაკო, თუმც მართლა ცუდი იყოს; მეორე, თუ რამა გაქვს სათქმელი, ყუმბარასავით-კი არ უნდა შემოვარდე ოთახში, დალაგებით უნდა სთქვა. აბა, მიამბე რა მოხდა.

აღელვებით ვუამბე, რაც ალფრედმა მითხრა.

— ჰმ... ჰმ...—განაგრძო ბიძა ჩემმა,—მე ვხედავ, რომ შენი ალფრედი ჯერ განუვითარებელია, არ ესმის, რომ, რაკი ფულს იღებ და სხვის ლუკმასა სჭამ, უნდა იმუშაო კიდეკ. რასაკვირველია, მებრალება ჩვენი პატარა ფრანგი, მაგრამ რას იზამ? სიცოცხლე დღესასწაული არ არის: უნდა იშრომო.

— ბიძია, შავრინები რაღად ცხოვრობენ თავის ნებაზე? რად იყიდეს ალფრედი როგორც მონა და სიცოცხლე სასჯელად გადაუქცეს?..

ბიძა ჩემმა გაჯავრებით ხელები გაიქნია და ზიზღით დაიღრიჯა...

— რა ჩვეულება გაქვს, ალექსი, რომ ბუზს აქლემად აქცევ ხოლმე. შენ ძალიან კარგად იცი, რომ ალფრედი მაინც და მაინც დასჯილი არ არის—რიგიანად აჭმევენ, მართებულად აცმევენ და შედარებით ადვილ სამუშაოში ფულსაც აძლევენ. ისღა აკლია ახლა შავრინს, რომ ალფრედსაც მას-

წავლებელი დაუჭიროს. თითონ ალფრედი ძალიან ცუდად ეს-
რულებს თავის მოვალეობას: აქამომდე ვერ შეეჩვია ბავშვებს,
ვერც პეტოს და მისგან მხოლოდ ეს ესმით: „ნუ გამომიყვანთ
მოთმინებიდანო.“ რასაკვირველია, ყმაწვილები დასცინიან...
უმჯობესია, უბძანე წყალი მომიტანონ,—დაათავა ბიძაჩემმა
და საათს დახედა.

ისე მებრალებოდა საწყალი ალფრედი, რომ დიდხანს ვერ
დავმშვიდდი. ხშირად გამახსენდებოდა ხოლმე იმისი გაქცევა,
დევნა დარაჯებისგან, რომელნიც ხელსა სტაცებენ,—მისი გა-
მხდარი, აკანკალებული ტანი და იმისი ყვირილი: „გამიშვით...
გამიშვითო“.

კიდევ რამდენჯერმე ვისეირნეთ მე და ალფრედმა ნავით.
უფრო და უფრო ხშირად ჩამოაგდებდა ხოლმე ლაპარაკს გა-
ქცევაზე. ვხედავდი, რომ ძალიან უნდოდა ესარგებლნა ნავით,
რომლითაც დავსეირნობდით, მაგრამ ნავი თხუთმეტი მანეთი
ღირდა და ალფრედს-კი ფული არა ჰქონდა და დაღვრემილი
და შეწუხებული დადიოდა.

ერთხელ ადრე გამოვედი სასტუმროდან; დავინახე ჩემკენ
ჩქარა მომავალი ალფრედი, სახე უბრწყინავდა სიხარულით.

— ფული ვიშოვე!—მიყვიროდა შორიდან,—მოვახერხე.

— საიდან? როგორ?

— დედამ რომ საათი მაჩუქა, გავყიდე და ზოგი ტანსა-
ცმელიც; თვრამეტი მანეთი მაქვს.

— ალფრედ! ის საათი ისე ძვირფასად მიგაჩნდათ და
როგორ გაიმეტეთ გასასყიდად?

— სამუდამოდ არ გამიყიდნია. მესაათე დამპირდა, რომ
დამიბრუნებს, როცა ფულს მივუტან, თუნდ ერთი წლის უკან.

— ეჰ, ალფრედ, გატყუებს! აბა მთელ წელიწადს რად
შეინახავს? გაჰყიდის.

— არა, დამპირდა, არ გავყიდიო. რად მომატყუებს? წა-
ვიდეთ ნავის სასყიდლად!

— გამიგონეთ, ალფრედ, — ვუთხარი მე: — ნუ ბრაზობთ ჩემ-გას. სჯობს მოითმინოთ. ბევრი, ბევრი — ორი წლის შემდეგ უეჭველად დაბრუნდებით საფრანგეთში; იქნებ უფრო ადრეც. ელაპარაკეთ შავრინებს: ისწავლიან და მაშინ, რასაკვირველია, აღარ შეგინახავენ. აბა მოიფიქრეთ; საზღვრამდე შორს არის; ქარიშხალმა რომ მოგასწროთ... ვერც საფრანგეთს ნახავთ, ვერც დედას და ვერც მარიეტას. დარწმუნებული ვარ, ცუდს ვიზამ, რომ არ დაგიშალოთ გაპარვა. ძალიან მინდა ყველაფერი ვუამბო შავრინს და ამით დაგიშალოთ თქვენი განზრახვა.

— გამიგონეთ, — დააბრიალა თვალები ალფრედმა, — ეგ ხომ უპატიოსნება იქნება თქვენდამი ჩემი ნდობის შემდეგ. გაპარვას მაინც-კი ვერ დამიშლით. რაც უნდა მოხდეს — წავალ, თუნდ ამისთვის ნავის მოპარვაც დამჭირდეს.

— დამშვიდდით, ალფრედ, არავის არას ვეტყვი; მაგრამ მინდა-კი კარგად მოიფიქროთ თქვენი განზრახვა, მანამ აასრულებდეთ.

ალფრედი ჩაფიქრდა.

— კარგი, — მითხრა ალფრედმა, — ორი კვირით გადავდებ, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება თუ არ შევცვალო, ტყუილად ნუ გამაჩერებთ.

ამით გავათავეთ.

ექვსი დღის შემდეგ სასტუმროს მსახურმა მომიტანა ბარათი, რომელიც დილა ადრიან მისთვის ალფრედს მიეცა.

„მაპატიეთ ღვთის გულისთვის, რომ თქვენი ნდობა შევლახე, მაგრამ აღარ შემიძლია მონობის ატანა. როდესაც ამ ბარათს წაიკითხავთ, მე შორს ვიქნები; ჩემთვის საჭირო ქარი ჰქრის. ნუ გამიწყრებით. მშვიდობით. იქნება როდისმე შევხვდეთ ერთმანეთს. თუ შინამდის მშვიდობით მივაღწიე, მოგწერთ. —

თქვენი ალფრედ ლარინო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდნავ გადავავლე თვალი ბარათს და გავიქეცი ნავსადგურთან; მაგრამ გვიან-ღა იყო: ნავი იქ აღარ დამხვდა. ჩემ კითხვაზე მენავემ მიამბო, რომ წინა დღეს ალფრედმა ნავი იყიდა თოთხმეტ მანეთად და დღეს დილა-ადრიან სადღაც წავიდა.

შინისკენ დავბრუნდი. გულზე თითქოს ლოდი მომაწვა. რაღაც დანაშაულს ვგრძნობდი. ჩემის აზრით უფრო მტკიცედ უნდა დამეშალა და ალფრედი არ წავიდოდა,მით უფრო, თუ შავრინს უამბობდი ყველაფერს. გულში-კი რაღაც იმედი მიღვიოდა: ეგებ მშვიდობით მიაღწიოს შინამდინ მეთქი.

სეირნობის გუნებაზე არ ვიყავ. შინ დავბრუნდი და წიგნის კითხვა დავიწყე. ამანაც ვერ გამართო. ბიძა ჩემი შინ არ იყო: რაღაცასთვისაც ქალაქში გასულიყო. სადილად დაბრუნდა და, როგორც შემოვიდა, დაიძახა:

— წარმოიდგინე, შავრინიანთ ალფრედმა რა ქნა: გაიქცა! წერილიც რომ დაუტოვა,—მივდივარო. გზაში შემხვდა შავრინი—პოლიციაში ყოფილიყო გამოსაცხადებლად. შფოთავს, აღარ იცის რა ქნას. ამბობს, თუ დავიჭირე, გავწკეპლავო. ეს მეორედ გაიქცა.

საღამოზე სასეირნოდ წავედი. ქარი გაძლიერდა. არხთან მივედი და ზღვისკენ შეუხვიე. რამდენიმე ნაბიჯი გავიარე ქვის ყორეზე და მივედი დარაჯის სახლთან. მივეყუდე კედელს და ჭუდი ხელით დავიჭირე, რომ ქარს არ მოეტაცნა.

ზღვა ღრიალებდა. უშველებელი ტალღები საშინელი ხმაურობით ეხეთქებოდნენ ქვებს და მაღლა ცისკენ ქაფიან წინწკლებს ისროდნენ. დიდხანს ვიდექი კედელზე მიყრდნობილი, ტუჩები უნებლიედ ჩურჩულებდნენ „ოჰ, ალფრედ, ალფრედ!“.

შინ დავბრუნდი თუ არა, დავლიე ჩაი და დავწექ დასაძინებლად; მაგრამ არ მეძინებოდა. მწოლარე ყურს ვუგდებდი ქარის ზუზუნს, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა; გრიგალი იწყებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძა ჩემიც შემოვიდა და დაიწყო ტანთ ხდა, რომ არ მძინავს და მითხრა:

— რა ქარიშხალია, რა გრიგალია! ღმერთმა ყველა დაიფაროს ახლა ზღვაზე მგზავრობისაგან.

თითქო ბიძა ჩემის სიტყვის დასამტკიცებლად ქარმა მძლავრად დაჰბერა და სახლის სახურავმა დაიღრიალა. ველარ შევიკავე თავი და ქვითინი დავიწყე.

— რა დაგეშართა? დაფაცურდა ბიძა ჩემი,—დამშვიდდი, როგორ შეიძლება ეგრე აღელვება! აჰა, წყალი დალიე!

ბიძა ჩემი რაღაც წვეთებს ასხამდა წყალში და მასმევდა; ასე რამდენჯერმე, ძალიან მოუსვენრად იყო, მანამ გულ-ამომჯდარმა არ ვუამბე, რომ ვიცოდი ალფრედის განძრახვა. ბიძია თანაგრძნობით მიგდებდა ყურს, მაგრამ მაინც ორჯელ გაჯავრდა —ალფრედისაგან საათის გაყიდვისა და ნავის ყიდვის გაგონებაზე. რადგან მეტის-მეტად ვღელავდი, გაჩუმდა და ისევ ის წვეთები დამალევინა. ბოლოს ორივენი დავწექით; ბიძიამ სანთელი გააქრო.

დილით ზღვის პირას რომ გავედი, ქარი დამშვიდებულიყო, მხოლოდ შეშფოთებული ტალღები მოგორავდნენ, ხმაურობით ეჯახებოდნენ ნოტიო ქვიშას და აფრქვევდნენ ქაფს. მზე ანათებდა და ალერსიანად მათბობდა.

სასტუმროდან ნახევარ ვერსის სიშორეზე შევნიშნე ხალხის გროვა,—რაღაცას ირჯავდნენ. მივედი იქ და დავინახე ქვიშაზე ნავი. ქვიშაში ჩაჭედილიყო და ზღვის შავი ბალახით იყო შებორბლილი; საჭე აღარა ჰქონდა, ანძა გასტეხოდა. მაშინვე ვიცანი, რომ ის ნავი იყო, რომლითაც მე და ალფრედი დავდიოდით.

— წარმოიდგინე, ალექსი,—მითხრა ბიძა ძემმა, შინ რომ მოვედი თვალ-ცრემლიანი,— შენი ალფრედი ცოცხალია!..

— ალფრედი ცოცხალია?!.

— ცოცხალია! წუხელის გემი მოსულა და ამბობენ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ოც ვერსზე უპოვიათ ფრანგი. საწყალს ლონე დამლ-ლევია და ნავიც წყლით ავსებია.

ძლივს უჯერებდი ჩემ ყურებს: ბიძა ჩემი-კი საჩქაროდ დაწვრილებით მიამბობდა ალფრედის ამბავს.

— შავრინს უხარიან, რომ ცოცხალი გადარჩა ალფრედი. დეე წავიდეს თავის ქვეყანაში მშვიდობით,— ამბობდა ის,—იმის გულისთვის მთელი ღამე არა მძინებიაო. აღარ შემიძლიან! ღმერთმა გზა დაულოცოსო!

— როდის მიდის ალფრედი?

— ხვალ! შავრინმა ბილეთი კიდეც უყიდა

მეორე დღეს „თეთრი მონა“ თავისუფალი იყო.

თარგმ. **ელ. ანტონოვსკისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამა და შვილი.

სამუშაოდ წასვლა.

შ ვ ი ლ ი.

მამილო, მამი!.. ასე ადრიან
რისთვისა დგები ცისმარე დილით?
მითხარი, მითხარ, ჩემო ძვირფასო,—
რას დამაცქერდი მწარე ღიმილით?

მ ა მ ა.

ეჰ, შვილო, რა გითხრა...
იზარდე, იხარე;
შემდეგაც გეყოფა
ცხოვრების სიმწარე.

შ ვ ი ლ ი.

მამილო, მამი!.. ტკბილო მამიკო!
ნურსად ნუ მიხვალ... დახურე კარი...
მოდი გენაცვა, დაწექ, მომიყე
სუნსულა კუდა-მელას ზღაპარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ა მ ა.

ეჰ, ჩემო ბიჭიკო,
მაგის დრო სად არი...
აგერა! — მეძახის
დუხჭირ-შრომის ზარი.

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულე.

ვარში გაჩაღებული რთველი იყო. ყურძნით სავსე ურიცხვი გოდრები ზედი-ზედ მიდიოდა საწნახელისკენ და ტკბილის ნაკადული შხრიალ-ხრიალით ტოტ-ტოტად იფინებოდა რიგზე ჩაწყრივებულ ურმიან *) ქვევრებისკენ.

მემამულე ნაღვლიანი სახით გაჩერებულიყო ერთ ადგილს და მწარე გამომეტყველებით უცქეროდა ყურძნის მკრეფავებს...

— რა დაგმართებია, რას დაძმარებულხარ, — ჰკითხეს მას მომუშავეთ, — თითქო ეს ამოდენა მოსავალი სხვის ჯიბეში ჩადიოდეს და არა შენ მარანშიო?

— აბა მეც სწორედ ის მაწუხებს, რომ ჩემს ქვევრებში ჩასული ღვინო მხოლოდ სხვის ჯიბეს ავსებს.

ალ. მირიანაშვილი.

---

*) ურმიანი ქვევ'ი — დიდი ქვევრი, — რომელშიაც ჩადის სამი საპალნე, ანუ 135 რუსული ვედრო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეთხოვენის სიკვდილი.

(თავისუფალი თარგმანი ფრანგულიდან)

ბეთხოვენი მხოლოდ ერთი წამით იყო ბედნიერი, და ამ ბედნიერმა წამმა ბოლო მოუღო მას...

მთელ თავის სიცოცხლეში ღარიბად, მახლობლების ზიზღის გამო განმარტოებულად ცხოვრობდა. ამ პირობებში მან შეჰქმნა მშვენიერი მუსიკა. თავის შემოქმედებაში ესაუბრებოდა იმ ადამიანთ, რომლებიც თავის ყურადღების ღირსად არ სთვლიდნენ, ისე როგორც ბუნება ესაუბრება ადამიანს ზეციური ჰარმონიით: ქარის ქროლით, წყლის ჩუხჩუხით, ჩიტების ჭიკჭიკით.

ბეთხოვენი ნამდვილი ღვთის წინასწარმეტყველი იყო, რადგანაც მხოლოდ ის ლაპარაკობდა ციური ენით; მიუხედავად ამისა, მისი ნიჭი იმდენად უცნობი იყო, რომ არა ერთხელ ეჭვი შეჰპარვია თავის გენიოსობაში, რაც არტისტისთვის საშინელ ტანჯვას წარმოადგენს.

ბეთხოვენს ჰყვანდა ერთი მეგობარი, გვარად იუმელი. ის სრულებით უმიზეზოდ შემოსწყრა იუმელს და კარგა-ხანს მეგობრები ერთმანეთს არა ხედავდნენ. ერთი უბედურება თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაატყდა კიდევ ბეთხოვენს: ის სრულებით დაყრუვდა. ბეთხოვენი გაემგზავრა ბადენს, სიდაც სცხოვრობდა ბეთუენიანი მარტოობაში პატარა ჯამაგირით, რომელიც ძლივს ჰყოფნიდა. ერთად-ერთი მისი სიამოვნება იყო სეირნობა მახლობელ ტყეში და იქ, მარტოდ მინდობილი თავის გენიას, ჰქმნიდა შეუდარებელ სიმფონიებს; აღფრთოვანებული, მთელ თავის არსებით ჰფრენდა ცის სივრცეში, და იქ ეჩურჩულებოდა ანგელოზებს ადამიანებისათვის გაუგებარი მშვენიერი ენით.

ზეციურ ქვეყანაში გართული, ის ერთმა წერილმა ძალაუნებურად დააბრუნა ამ ქვეყნად, სადაც ახალი უბედურება ელოდა. მისი ძმისწული, რომელსაც ბეთხოვენი ზრდიდა და ძლიერ უყვარდა, ატყობინებდა, რომ ვენაში ერთ არა-სასიამოვნო საქმეში გაერია და რომ მხოლოდ ბიძას შეეძლო მისი ხსნა.

ბეთხოვენი გაუდგა გზას და ხარჯის შესამცირებლად გაიარა ერთი ნაწილი გზისა ფეხით. ერთ სალამოს შეჩერდა ვილაცას ულამაზო სახლის წინ და მასპინძელს ბინა სთხოვა; ვენამდე კიდევ რამოდენიმე ვერსი დარჩენოდა გასავლელი, მაგრამ ღონე არ შესწევდა განეგრძო მოგზაურობა ღამით. მიიპატიჟეს. მიიღო მონაწილეობა ვახშამში და შემდეგ ბუხრის ახლოს დაჯდა სახლის პატრონის სავარძელში. როდესაც სუფრა აალაგეს, მასპინძელმა გააღო ძველი პიანო; იმისმა ვაჟებმა აიღეს ხელში სამუსიკო იარაღები; დედა და ქალიშვილი-კი შეუდგნენ სხვა-და-სხვა საოჯახო საქმეებს. მამამ დაიწყო და შემდეგ შვილებთან ერთად, მწყობრად შეასრულა გენიალური მუსიკა, რომელიც მხოლოდ გერმანელთ აქვთ მინიჭებული.

სჩანდა, რომ ძლიერ აინტერესებდათ, რასაც უკრავდნენ, რადგანაც მთელი თავისი არსებით ეძლეოდნენ მუსიკას. დედამ და ქალიშვილმა მიანებეს თავი ხელსაქმეს, რომ მუსიკისსთვის ყური დაეგდოთ. სახეზე ყველას რაღაც ტკბილი გრძნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ეხატებოდათ, ეტყობოდათ, რომ მათი არსება შეპყრობილი იყო ამ საუცხოო ხმებით.

ბეთხოვენის მონაწილეობა ამ კონცერტში გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რასაც თვალით ხედავდა, რადგანაც არც ერთი აკორდი არ ესმოდა; უცქერდა მემუსიკეთა მოძრაობას, მათი სახის გამომეტყველებას, რომელიც ნათლად ამტკიცებდა გრძნობათა სიუხვეს.

სიმფონია რომ გაათავეს, მემუსიკეებმა აღტაცებით ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, თითქოს უნდოდათ ერთმანეთისთვის ეგრძნობინებინათ ბედნიერი წამები.

ქალიშვილი ტირილით გულში ჩაეკრა დედას. გეგონებოდათ, თითქოს ერთმანეთის აზრი გაიგეს; ხელახლა აიღეს თავიანთი იარაღი და დაუკრეს.

მეორე კონცერტმა უმაღლეს წერტილამდე აიყვანა მათი გრძნობები, ყველას თვალები ცრემლებით აევსო, ღრმა გრძნობით უბრწყინავდა.

— ჩემო მეგობრებო,—სთქვა ბეთხოვენმა,—მე უბედური ადამიანი ვარ, რადგანაც არ შემიძლია მონაწილეობა მივიღო ამ სიამოვნებაში, რომელსაც თქვენ განიცდით, მით უფრო, რომ ძლიერ მიყვარს მუსიკა. ვგონებ თქვენც შემატყვეთ, რომ ყრუ ვარ. ნება მიბოძეთ გადავათვალიერო ის ნოტები, რომლებმაც ასეთ აღტაცებაში მოგიყვანათ.

ამ სიტყვების შემდეგ მან აიღო რვეული ხელში, მაგრამ მაშინვე თვალები დაუბნელდა, სუნთქვა შეეკრა, დაიწყო ქვითინი და გააგდო ხელიდან რვეული. თურმე ის, რასაც მასპინძელი უკრავდა თავის შვილებთან ერთად, იყო „ალლეგრეტო“ ერთ-ერთ ბეთხოვენის სიმფონიისა. სტუმრის გარეშემო მთელმა ოჯახმა მოიყარა თავი; სახეზე გაკვირვება და ცნობის მოყვარეობაც გამოეხატა ყველას; რამოდენიმე წუთის განმავლობაში სტუმარს ცრემლები ყელში მოადგა და სიტყვა ვერ წარმოსთქვა. შემდეგ წაიჩურჩულა: „მე ბეთხოვენი ვარ.“

მასპინძლებმა დიდის მოწიწებით თავი დაუკრეს დიდებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპოზიტორს; ბეთხოვენი კი ხელს უწვდიდა მათ, ლოდელსაც უკანასკნელნი ჰკოცნიდნენ, რადგან კარგად ესმოდათ, რომ მათი სტუმარი გვირგვინოსანზე მეტად სათაყვანებელი იყო.

ბეთხოვენის ბრწყინვალე თვალებში ისინი ეძებდნენ ციურ ნაპერწკლის ნიშნებს, გენიოსობას.

შემდეგ დიდებული კომპოზიტორი უცბად მიუჯდა პიანოს, ანიშნა მასპინძლებს აეღოთ თავისი იარაღები და თვითონ შეასრულა თავისი საუცხოო მუსიკა.

თავის დღეში არც ერთი მუსიკალური შემოქმედება არ ყოფილა ასე მშვენივრად შესრულებული.

გაათავეს, მაგრამ ბეთხოვენი მაინც არ მოშორებია პიანოს და შეუდგა სხვა-და-სხვა მელოდიების იმპროვიზაციას. ჯერ გამოუქვეყნებელ მუსიკას.

ეს იყო მისი უკანასკნელი აკორდი.

მასპინძელმა ბეთხოვენს თავისი ლოგინი დაუთმო; ამ ღამეს მას სიცხე მისცა, ჰაერი აკლდა, წამოდგა და ფეხშიშველი გავიდა სოფლად. როდესაც შინ დაბრუნდა, საშინლად გააცივა. აფრინეს კაცი ვენაში ექიმის მოსაწვევად. ექიმის აზრით, მას ფილტვების ანთება აღმოაჩნდა და თუმცა თავგანწირულად უვლიდნენ, ორი დღის შემდეგ განაცხადა, ბეთხოვენი ვერ მორჩებაო.

მართლაც თვითეული წამი სიცოცხლეს უსპობდა.

როცა ბეთხოვენი ჰბოდავდა, ვიღაც უცნობმა კარი შემოაღო და შემოვიდა; ეს იყო იუმელი, ბეთხოვენის ერთადერთი მეგობარი; მას შეეტყო ბეთხოვენის ავადმყოფობის ამბავი და წამოსულიყო მის მოსავლელად და დასახმარებლად.

მაგრამ, საუბედუროდ, გვიანღა იყო: ბეთხოვენს უკვე ლაპარაკიც უძნელდებოდა. მან მხოლოდ თვალების მეტყველებით მადლობა გადაუხადა იუმელს.

იუმელი მიუახლოვდა და თანაგრძნობა გამოუცხადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფს. ბეთხოვენი თითქოს გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა და წარმოსთქვა: ხომ მართალია, იუმელ, ოომ მე ნიჭი მქონდა?

ამ სიტყვებით გამოესალმა წუთი სოფელს დიდებული მემუსიკე.

ან. ივანიშვილი.



საქართველო.

(რწმენანი და ჩვეულებანი).

ქვეყნის შექმნა.

ეათე საუკუნეში გადაწერილ წიგნში ქვეყნისა და კაცის შექმნის შესახებ ვრცელი მოთხრობაა მოქცეული. მოგვყავს მოკლედ შინაარსი ტექსტისავე სიტყვით.

პირველსავე დღეს ღმერთმა გააჩინა ცანი, ზესკნელნი და ქვესკნელნი—ქვეყანაჲ, და წყალნი, რომლისაგან არს თოვლი, მყინვარი, სეტყუაჲ, თრთვილი და ცუარი, კვალად შეჰქმნა სულნი მსახურნი, რომელ არიან ანგელოზთა პირნი: ანგელოზნი მადიდებელნი.

ანგელოზნი ქართანი, რომელნი ჰბერვენ,
ანგელოზნი დრუბელთანი, ნისლისანი, სეტყვისანი, თოვლისანი და თრთვილისანი,
ანგელოზნი კმისა ქუხილისანი და ელვისანი,
ანგელოზნი ცივისანი და ცეცხლისანი,
ანგელოზნი ზამთრისანი და თესვისანი,
ანგელოზნი არესანი და ზაფხულისანი
და ყოველნი სულნი დაბადებულთანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცათა შინა და ქუეყანასა ზედა,
უფსკრულთანი და ქუეშე ქუეყანისანი,
ჯოჯოხეთისანი და წარსაწყმედელისანი,
ბნელისანი და ნათლისანი.

თუ რისთვის ღმერთმა ადამიანი ყველა ქმნილებაზე გვიან დაბადა, ამასაც გვიხსნის იგივე მოთხრობა: წიგნი.

„რაჲსათჳს დაებადა კაცი უკანასკნელ ყოველთა?

არღა იყო ჯერედ დაბადებული ესე,—კაცსა ვიტყვი,—პოვნილ შვენიერებასა შინა არსთასა, რამეთუ არ ჯერ იყო, რათა გამოჩნდეს მთავარი უწინარჱს სამთავროსა მისისა, არამედ ჯერ იყო ჭეშმარიტად, რათა განიმზადოს სამეუფოჲ პირველ და მაშინღა გამოჩნდეს მეფჱ.

და განმზადა დამბადებელმან სამეუფოჲ: ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ხერთვისნი და ესე ცაჲ, რომელი არს მაგრილობელ მათზედა, და იუნჯა საუნჯესა ამას ყოველი სიმდიდრჱ, ე. ი. არს სიმდიდრჱ ყოველთა მცენარეთაჲ და ნერგთაჲ და ცხოველთაჲ, და ყოველნი ესე სულ და საშუმინველ... სიმდიდრჱ ბუნებათავჲ და რომელი მათგან განშუენდების წინაშე თუალთა კაცისა მსგავსებაჲ ოქროჲსაჲ და ვერცხლისაჲ და ესე ქვანი პატიოსანნი და ბრწყინვალენი, რომელნი საკვირველად ჩანდ წინაშე კაცთა. რამეთუ ესე ყოვლითურთ დაიუნჯნეს კაცისათჳს უბესა შინა ქვეყანისასა, ვითარცა საბოძვარნი მეფეთანი.

და ამასა შემდგომად გამოაჩინა სოფელსა შინა (კაცი), რათა იყოს მხედველ საკვირველებათა მათ, რომელნი არიან მათ შინა, და იყოს კეთილთა მათ ზედა უფალ; რათა გულის-კმა ჰყოს მოცემული იგი მისი, რომლითა იშუებდეს და ცნას ძალი შემოქმედისა თჳსისაჲ, რომელი მიუთხრობლობს ხილულთა მათგან და შუენიერებათა დაბადებულთა და დიდებულთა.

და ამისთვს შეიყვანა კაცი სოფლად უკანაასკნელ დაბადებულთა, არათუ შეურაცხებისა მისისათვს უკანასკნელ, არამედ რათა იყოს მეფე დაბადებიდგანვე მისით.

ვითარცა იგი, ვის ჰნებავს სერისა ყოფაჲ, თანააც მას, რათა განჰმზადოს პირველად რაჲ იგი უკმს საჴმლად და მაშინღა მიუწოდოს ჩინებულთა.

და კუალად რითა შეამკოს სახლი თვსი და ტაბლაჲ ჯეროვნად და მაშინღა შეიყვანნეს სტუმარნი ჴამად პურისა თვსისა.

და ამათ ესე ვითარითა სახითა ყო მზრდელმან მან ბუნებისა ჩუენისაგან, მდიდარმან და მეუფემან, რაჟამს შეამკო დაბადებული ყოვლითა შვენიერებითა, და განჰმზადა საყოფელი ესე დიდებული და პატიოსანი.

მაშინღა შეიყვანა კაცი და მისცა მას საქმედ მონაგები რჩეული, პოვნილი და მომზადებული და ამისთვის ყო მას შინა მიზეზი ცხოვრებისაჲ მრჩობლად და შეჰრია სალმრთოჲ იგი ქუეყანასა მას, რათა იწოდოს და სახელ ედვას ორთავე მათ: ერთი იგი ღუთისა ბუნებითა გონებისაჲთა, ხოლო მეორე იგი კეთილთა ქუეყანისათა განშურებად საგრძნოთა ვორციელთა“ (ივერია 1898, № 70).

ზეპირ გარდმოცემა ამას დასძენს:

ღმერთმა რომ გააჩინა კაცი კეცისაგან, მას გადაემტერა ბოროტი ანგელოზი სამალი ანუ ეშმაკი. ღმერთმა ურჩია კაცს—გაუმკლავდიო შენს მტერს. კაცმა გაახურა მაყაში და მწვალებელ-მტანჯველი რომ მოვიდა, სწვდა მას ცხვირში და მაგრა მოუჭირა ცხელი მაყაშით. სამალმა იწყო ფართხალი, ზნექა; საითკენაც იჭიმებ-იწურებოდა, იქითკენ ჩნდებოდა ღელე-ღულეები, ხრამები, ოღრო-ჩოღროები. მისი კუდი კავკასიასაც მოხვდა და აქაც აღიმართა მთა გორები, გაჩნდა ღელეები, ხრამები.

კახელთ გადმოცემით, ღმერთს თურმე, მიწა უფრო მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დიდი) გაეჩინა, ვიდრე ცა. ასე რომ ეს უკანასკნელი ერთ-ერთ
რქლებოდა დედამიწას. მაშინ ეშმაკმა ურჩია ღმერთს, ეცადა
ჭირეო მიწას შენის ძლიერის მკლავებით და ცა ზარფუშივით
დაეხურებაო მას. ღმერთმა მოუჭირა, ცა დაესარქლა, მაგრამ
მიწა-კი მოჭერისაგან შეიზნიქა და აქა-იქ აიბურცა მთა-გორე-
ბად, აქ-იქ კი გაჩნდნენ ხრამები, ღელეები, ტბათა, ზღვათა
და ოკეანეთა უფსკრულები.

პირველი, მეორე და მესამე ეპოქა.

ქვეყნისა და კაცის გაჩენის შემდეგ, ინგილოთა გადმო-
ცემით, მსოფლიოს გამოუვლია ერთი სრული ზამანა (ხანა,
ეპოქა), ახლა მომავლობს მეორე ხანაში და ამას მოჰყვება
მესამე უკანასკნელი ზამანა.

პირველი ზამანა ყოფილა დროება ოლუზებისა, ბუმბერაზ
ადამიანებისა, მეორეა ხანა—დღევანდელ კაცისა და მესამეში-
იქნება მფლობელობა სხვა თაობისა.

პირველ ზამანაში როგორი დევგმირი და ბუმბერაზი იყო
კაცი, ისეთივე ტანადი, მსხვილი, უზარ-მაზარი იყო აგრეთვე
მისი შესაბმელი, მისი სახნისი, ურემი, სახლი და სხვა. კაცს
მაშინ აუარებელი ღონე ჰქონდა, ხეებს ამოგლეჯავდნენ ხოლ-
მე და მტერს სტყორცნიდნენ, ისე დაიყვირებდნენ, რომ ხეს
ფოთლები სცვიოდა სრულად. მხოლოდ ადამიანი უტი, მიუ-
ხვედრი იყოო, ცეცხლის პირას რომ მჯდარიყო, ცეცხლს და-
ეწვა; იმდენი ჭკუა და მოხერხება არა ჰქონდა, რომ უკან და-
ეწია, რათა ცეცხლის სიცხოვლეს არ შეეწუხებინაო.

ერთხელ, პირველის ზამანის მიწურულს და მეორეს დამ-
დეგს, მინდორში გაჩაღებული ხვნა-თესვა იყო. ბუმბერაზი
კაცები ხნავდნენ სახნავს თავისი ბუმბერაზი სახნისებით; სა-
ხნავში ებათ ბუმბერაზივე ხარები და კამბეჩები. უცბად გაი-
ზუზუნა რაღაცამ ჰაერში და ერთ ბუმბერაზს ბარკალში დაე-
სო ისარი, „ეს ეკალი ვინ დამასოო,“ გაიკვირვა დაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილმა, შეიხედა და ბუჩქებში თვალი მოჰკრა მეორე ზამანის კაცს. ეგ ქონდრის კაცი დამასობდა ეკალსაო.

გამოეკიდა, სად გაექცეოდა? გადაადგა ორიოდ-სამიოდე ნაბიჯი ბუჩქებიდან ბუჩქებზე და კიდეც დაეწია, დაიჭირა, ლაფჩინის ყელში ჩააძვრინა და მერე შინ მოყვანა თავის დედისთვის საჩვენებლად.

დაინახა რა დედამ, გაკვირვებით უთხრა შვილს: „ეგ ციდამტკაველა“ ხომ მეორე ზამანის კაცია. ჩვენ შემდეგ ეგენი იუფლებენ ამ ქვეყანაში.

შვილმა მოახსენა: „ეგ რა არის, რომ მაგის მფლობელობა რა იყოსო.“

„ეგ პატარაა, მაგრამ გამჭრიახი კიაო და თავის ჭკუით ყოველივეს დაიმორჩილებსო.“

„აბა, მაშ გამოვცდიო,—დაუმატა შვილმა და მეორე ზამანის კაცს ანიშნა, ცხენს ქერი და ბზე აჭამეო. (თვითონ რახან ცხენი მაღალი იყო, ბანზე ავიდოდა ხოლმე, რომ ცხენისთვის იქ ეჭმია). მეორე ზამანის კაცმა თოფრაკში ჩაყარა ბზე, ქერი, დაანახვა დევ ცხენს და დაუძახა: თფრიშე! თფრიშე ცხენი მოვიდა, დასწვდა საჭმელს, და მეორე ზამანის კაცმა თოფრაკი მარდად წამოსდო ცხენს თავ-კისერზე. ცხენმა აიწია, მაღლა წაიღო საჭმელი და ხრამა-ხრუმი აუყენა ქერ-ბზეს.

დაინახა რა ეს ოღუზის დედამ, ნიშნის გებით უთხრა შვილს:

„აი ე მაგისთანა ჭკუით და ხერხით ეგენი დაიჭერენ ქვეყანას და ისუფევენ.“

საგულისხმო აქ ის არის, რომ ამ პირველ ხანაშივე გადმოცემები საქართველოში უჩვენებენ სასოფლო მეურნეობას და მის წარმომადგენლებს აჩეჩას, ხარებს.

რა დროს და რის გამო ამაღლდა ცა?

გადმოცემას შეუნახავს ის თქმულებაც, თუ როდის, როგორ და რად დაშორდა ღმერთი ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ხანაში ცა და დედამიწა ერთმანეთისაგან ისეა-ლო იყვნენ, რომ ადამიანი ხელით სწვდებოდა ცას, საცა იმ-ყოფებოდა ტახტი ღვთისა. ღმერთი და კაცი ერთ ოჯახად სცხოვრობდნენო. ხოლო დედამიწა ეკავა დიდს ვეშაპს*). შე-მდეგ ერთმა დედაკაცმა შეაბილწაო ღვთის გაჩენილი პურის მადლი მით, რომ ბავშვს უწმინდურება მოჰხოცა ლავაშით. ამიტომ ღმერთმა აღარ ინდომაო კაცებთან ახლოს ყოფნა, აჰკრა ცას, მაღლა-მაღლა წაიღო და წავიდა ზესკნელის მიუ-წდომელობაშიო.

სხვა გადმოცემა ღვთისა და კაცის დაშორებას აკუთვნის გმირის ამირანის მიჯაჭვის ხანას. გადმოცემით, ღმერთმა გა-აჩინა ორი უდიდებულესი ბუმბერაზი, ამბრი და ამირანი. უკანასკნელი მონათლა თვით ქრისტემ და ასე ღმერთი დაუ-ნათესავდა ადამიანს. ერთხელ შეეჭიდნენ ერთმანეთს ეს გმი-რები. ამბრის გაემარჯვა. ამირანმა უსაყვედურა ნათლიას: „აკი მეუბნებოდი, შენი მძლეველი არავინ იქნებაო.“ ღმერთ-მა უთხრა: „ამბრი მოკვდა და ახლა ვერავინ გაჯობებსო.“ ამირანმა საჭიდაოდ თვით ღმერთი გამოიწვია. გამჩენმა უთხრა: „თუ ლონის გამოცდა გინდა, აი ეს კვერთხი და ეს გრეხილი. ჯოხი მიწაში ჩაურჭე და ზედ მიები ფეხით და გამოსწი. ვნა-ხოთ, გასწყვეტ მას, თუ ვერა?“

აგრე მოიქცა ამირანი. ღმერთმა ჯვარი გადასახა. გრე-ხილი მძიმე და მაგარ ჯაჭვად იქცა, ხოლო ჯოხი სქელ და მყარ სვეტად. ამირანი შეიბოჭა, მაგრად შეიკრა და დარჩა მიჯაჭვული და ბრაზ-მორეული მჭედლებზე, რომელთაც გა-მოჭედეს ჯაჭვი, ქალებზე, რომელთაც შეგრიხეს ბაწრის გრე-ხილი. შორი-ახლოს დევს მისი ხმალი, რომელიც ჯაჭვს ერ-

*) დღესაც ჩვენ ხალხი გვიამბობს: ზღვაში ვეშაპია. მას უკავია მიწა და მის განძრევისაგან იძვრის თვით მიწაო. წმ. ნინოს ცხოვრებაც გვაუწყებს (გვ. 38): „ოდეს შეიძრას ვეშაპი იგი დიდი, რომელ არს ზღუასა შინა, შეიძრას ყოველი ქვეყანა (ისე, რომ) დაირღვიან მთანი, მყარნი და კლდენი.“

თის მოქნევით გაჰკვეთს, თუ მისწვდა, ან თუ ჯაჭვი [illegible] ამის ცდაშია მისი ერთგული ფინია, რომელიც [illegible] მთელ წლის განმავლობაში და როდესაც საქმე გაწყვეტაზე მივარდება, ბოროტი მჭედლები ვნების დიდხუთშაბათს დაჰკრავენ თავიანთ კვერებით ზინდალს და იქ ამირანის ჯაჭვი ისევ გამაგრდება და გასქელდება.

სხვა გადმოცემით, მთელი წლის განმავლობაში ამირანი არყევს და ანძრევს სვეტს, რომელზედაც მიბმულია და როდესაც უკანასკნელად უნდა შეარყიოს და ამოაძროს, ამ დროს მოფრინდება შორიდან პატარა ლობემძვრალა ჩიტი, ჯდება სვეტის თავზე ბოლოს გაქნევ-გამოქნევით. ტანჯული გმირი რაც ძალი და ღონე აქვს მოუქნევს მას მძიმე კვერს, ჩიტი აფრინდება, მიდის, ხოლო კვერი ხვდება სვეტს და ისევ ღრმად ჰფლავს მიწაში.

ასეა მარადის. ამირანს ადარებენ ბერძენთა ლეგენდის პრომეთეოსს, რომელმაც ღმერთს ცეცხლი მოსტაცა და ამის გამო კავკასიონში მიჯაჭვული ი ანჯება და მას მარადის გულს უწიწკნის მთის არწივი. ჩვენი გადმოცემა ამირანის მიერ ცეცხლის მოტაცებაზე არას ამბობს, მაგრამ იმას კი აღნიშნავს, რომ ცოდამ ოქროს ჯაჭვზე ეკიდა კოშკი. ამ კოშკში, რომელიც სპილენძის ჭურჭლით სავსე იყო, იჯდაო მზეთუნახავი ქალი ყამარი ანუ ქალ-გაში *) და ეს ქალი მოიტაცა გმირმა ამირანმა.

მნათობების თაყვანისცემა.

ჩვენი მატიანე საქართველოს ისტორიას იწყებს სიტყვებით: „მას ჟამსა დაივიწყეს დამბადებელი ღმერთი და იქმნეს მსახურ მზისა, მთვარისა და ვარსკულავთა ხუთთა. ხოლო

*) ი ერია 1887 წ. № 145 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქარფლოსისა.“

მაშინ არა თუ მარტო ქართველებს, ბევრს ძველ ხალხებსაც, მაგ., ეგვიპტელებს, ასურელებს და სხ., სწამდათ, რომ კაცის დაბადება, ცხოვრება და სიკვდილი იმყოფება ვარსკვლავთ გავლენის ქვეშე: ვარსკვლავნი არიან მაუწყებელნი ღვთის ნებისა: მათ ხელშიაო ყოველი კაცის, მთელი ერის და მის მეფის ბედ-იღბალი, ბედის-წერა, ეტლი. ამიტომ, საფიქრებელია, ამბობენ ჩვენში დღესაც: „რა ცუდ ვარსკვლავზე დავიბადეო,“ ან და „უეტლო—ეტლიანი ვარო.“

ქალდეველთა სასულიერო იერარქია შუამავალი იყო ვარსკვლავებით მოჭედილი ცის მსოფლიოსა და კაცთა შორის. მათ ღმერთებად ითვლებოდა ორი უმაღლესი სამება, ხუთი ვარსკვლავი, ღმერთების 12 ბჭე, რომელთაგან ყოველი განაგებდა წელიწადის ერთ-ერთ თვეს და ბურჯს (ლენორმანი, 1, გვ. 426).

შვიდი მნათობის გალმერთებამ საღმრთო მნიშვნელობა დასდო თვით რიცხვს შვიდს. გალმერთებული იყო მზე, მთვარე, მარსი, მერკური, ვენერა, იუპიტერი, სატურნი, და მათთვის შეწირული იყო შვიდი ლითონი, მათგან ოქრო მზისთვის, ვერცხლი მთვარისთვის, რკინა მარსისთვის და სხ. ასევე განაწილებული იყო კვირის შვიდი დღე: მნათობი, რომელიც ჩნდებოდა დღის 1-ლ ჟამს; იმ დღეს ეს მნათობი ანათლიდა თავის სახეს (დრეპერ, გვ. 301).

რომ ეს ჩვენშიაც სწორედ ასე ყოფილა, ამას შვენიერად ასაბუთებენ ჩვენებური სახელები კვირის დღეებისა.

მოსე ჯანაშვილი.



ყინულის მთა.

(თარგმანი).

ერ კიდევ ყველას გონებაში წაუშლელია ის საშინელი უბედურება, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინად დატრიალდა ატლანტიის ოკეანეზე. ვინ დასთვლის, რამდენი დედა აატირა ამ შემაძრწუნებელმა შემთხვევამ, რამდენი ბავშვი დააობლა, რამდენ ახალგაზრდას უდროოდ დაახუჭვინა თვალები! მე მოგახსენებთ გემ „ტიტანიკი"-ს დალუპვაზე. ამიტომ მეტი არ იქნება გავიგოთ, თუ რა იყო მიზეზი ამ თავზარდამცემი ამბისა, რა ეწოდება სახელად იმ ზღაპრულ გველვეშაპს, რომელმაც ამდენი ადამიანი ჩაყლაპა?

ეს ვეებერთელა გემი, რომელსაც სახელად „ტიტანიკი" ეწოდებოდა, ჩაიძირა იმის გამო, რომ ყინულის მთას დაეჯახა. ეს მთა სიგრძითა და სიგანით რამდენიმე ათეული ვერსი იქნება, სიმაღლით-კი 100 საჟენამდე აღწევს. ხშირად შეხვდებით ამ მთებს ნიუ-ფაუნდლენდის ნაპირებსა და ოკეანის იმ ნაწილებში, საცა ზომიერი ან ცივი ჰავაა.

კაპიტან ბლოუნდეტის ცნობით იალქნებიან ხომალდს „პრეზიდენტ ტიერ"-ს შეხვედრია 1896 წელს, ნოემბერში, ყინულის მთა სიმაღლით 70 საჟენი, სიგრძით-კი 37 ვერსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომალდს ოთხი დღე მოუნდა თურმე, სანამ ამ „მცურავ ძულს“ გზას აუქცევდა.

ზოგჯერ ეს მთა უფრო დიდიც არის ხოლმე. მარსელ გოლეს სიტყვით 1893 წელს პატაგონიის აღმოსავლეთ ნაპირებთან, ატლანტიის ოკეანეში შეხვედრიათ ვეებერთელა ყინულის მინდორი, რომლის სიგრძე თითქმის 300 ვერსი იქნებოდა.

ათზე მეტი გემი დაზიანდა ამ ყინულის მინდვრის გარშემო.

ყინულის მთის ნამდვილი სიდიდე რომ წარმოვიდგინოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ზემო მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ მხოლოდ წყლის ზევითა ნაწილის ზომას.

წყალში-კი უდიდესი ნაწილია ჩამალული. წყლის ქვევითა ნაწილი 8—9-ჯერ მეტი იქნება, ვინემ წყლის ზევითა.

ეს აი რით აიხსნება: თუმცა ყინული ცურაობს წყალში, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ის მხოლოდ ცოტათია წყალზე მსუბუქი. ამის გამო ყინულის თითქმის ცხრა მეათედი ($^9/_{10}$) ცურვის დროს წყლის ქვეშ იმყოფება ხოლმე.

ასე რომ კაპიტან ბლონდეტის ნანახი მთა ნამდვილად ყოფილა სიმაღლით 700 საჟენი, ესე იგი ერთ-ნახევარი ($1^1/_2$) ვერსამდე, თუ წყლის ქვედა ნაწილსაც ვიანგარიშებთ.

ახლა გავიგოთ, თუ როგორ ჩნდებიან ყინულის მთები?

პოლიარულ წრის ახლო-მახლო არის ისეთი მთები, რომლებიც მუდმივ ყინულითაა დაფარული. ამ ყინულს **გლეტჩერს** ეძახიან. რაც უფრო ცივია ჰავა, მით უფრო უახლოვდება გლეტჩერი ზღვის პირს. სიმძიმისა თუ სხვა მიზეზების გამო. ეს მთებზე გადაწოლილი ყინული ვეებერთელა ბელტებად ეშვება ზღვა ოკეანეში, უერთდება ერთმანეთს და ამრიგად კეთდება ის ყინულის მთები, რომლებსაც უკვე გავეცანით.

გლეტჩერი ძალიან ხშირია გრენლანდიაში. აქ ამ ხმელეთის ყინულს ორჯერ მეტი ადგილი უჭირავს, ვინემ მთელ გერმანიას. ყინული ნელ-ნელა ცოცდება ზღვისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ გრენლანდიის გლეტჩერი ვერ უწვდება ზღვის პირს და ამიტომ ზღვის პირად ხმელეთის მცირე ზოლი ყოველთვის თავისუფალია ყინულისაგან.

მაგრამ ისეთ ადგილებში, საცა კლდიანი ნაპირებია, და ყინულს თავისუფლად მოძრაობას უშლის, ყინულის ბელტები საშინელი სიძლიერით აწვებიან ერთმანეთს და მთებად ქცეულნი პირდაპირ ოკეანეში ეშვებიან.

ზღვის მოუსვენარი ტალღები შორს მიაცურებენ ამ ყინულის მთებს. ხშირად მოხდება, რომ აფრიკის ნაპირებამდე მოატანენ ხოლმე.

მთის ის ნაწილი, რომელიც მზისკენაა მიშვერილი, რასაკვირველია, უფრო ჩქარა დნება, ოღრო-ჩოღროვდება და ემზგავსება ძველი დროიდან დარჩენილ ციხე-სიმაგრეს. განსაკუთრებით ლამაზი შეხედულება აქვთ ყინულის მთებს, როცა იმათ ამომავალი მზის შუქი ათასფრად ღებავს.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მთის ერთი მხარე უფრო ჩქარა დნება; მაშინ მეორე, უფრო მძიმე მხარე გადასძლევს და ყინულის მთა მეორე გვერდზე გადაბრუნდება.

ვაი იმ გემს, რომელიც ახლო-მახლო მოხვდება ამ დროს! დიდი უბედურება მოელის, რადგანაც მთის გადაბრუნება იწვევს საშინელ ღელვას.

რამდენადაც მთა უფრო უახლოვდება სამხრეთს, მით უფრო ჩქარა დნება. ბოლოს და ბოლოს ვეებერთელა მთისაგან რჩება ყინულის პატარა ნაწილი, მაგრამ იმასაც ჩქარა აქრობს სამხრეთის მზის მხურვალე სხივები.

ამნაირად, ჩვენი ნაცნობი მთისა, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მეზღვაურებს, მხოლოდ მოგონება-ღა რჩება.

გ. ლ.



ტროადის ომი.

ფეტიდა ქალღმერთა ჰეფესტოს სთხოვს აქილევსისათვის სამხედრო იარაღის მომზადებას.

ეტიდა ქალღმერთა დაუყოვნებლივ გაეშურა ცეცხლისა და სამჭედლო ხელოვნების ღმერთის ჰეფესტოსის სასახლისაკენ. ჰეფესტოსის მბრჭყვინავი სპილენძის სასახლე ოლიმპოსის მწვერვალოდან კოხტად დაჰყურებდა მთის თვალუწვდენელ კალთებს. ჰეფესტოსი მეტად დახელოვნებული იყო სამჭედლო საქმეში. თვით სამჭედლოც ხელოვნურად ჰქონდა მოწყობილი. ერთად ერთი მუშა ამ სამჭედლოში თვითონ ჰეფესტოსი იყო. ცეცხლი და ჰაერი მუშების მაგივრობას უწევდა დახელოვნებულ ღმერთს. ერთი თითის ჩვენებით საბერავში ჰაერი თავისთავად მოძრაობდა და ცეცხლი გრდემლზე საოცარი ძლიერებით გიზგიზებდა. თვითეული ნივთი, თვითეული სამკაული, რომელსაც-კი ჰეფესტოსი დაამზადებდა თავის სამჭედლოში, ელვის სისწრაფით იჭედებოდა. თვითეულ ესეთი ხელოვნებით შეჭედილ სამკაულს ჰეფესტოსის ღვთაებრივი ძალა უხვად ანიჭებდა

სილამაზეს, სიმშვენიერეს, სიფაქიზეს და თვით სტოიკურ-ობასს
და გონიერებასაც-კი. მჭედლობაში ზედმიწევნით დახელოვნე-
ბულმა ღმერთმა თავის სამჭედლოში შეჭედა ოქროსაგან ორი
მოსამსახურე ქალი ისეთის ხელოვნებით, ასე გეგონებოდათ
ცოცხლები არიან და ეს არის ამოძრავდებიანო. ეს მოსამსა-
ხურე ქალები ყოველთვის მხარ-და-მხარ უდგნენ ჰეფესტოსს,
როცა იგი ჩვეულებრივის კოჭლობით სამჭედლოს თავს ანე-
ბებდა და სადმე მიდიოდა.

სწორედ იმ დროს, როცა ფეტიდა ქალღმერთამ ოლიმ-
პოსის მწვერვალოს მოაღწია, ჰეფესტოსი თავის სამჭედლოში
ჩვეულებრივ მუშაობდა. სწორედ ამ დროს ღმერთმა დაამთა-
ვრა შეჭედვა იმ ოცი ოქროთ მოვარაყებულ სამფეხისა, რო-
მელიც თავისთავად იმ რიგად და ისე ტრიალებდა, როგორც
კაცი მოისურვებდა.

ფეტიდა ქალღმერთა სასახლეში მიმავალი შენიშნა აფ-
როდიტა ქალღმერთამ, კოჭლი ჰეფესტოსის მეუღლემ. აფრო-
დიტა დიდის სიყვარულითა და თავაზიანობით მიეგება ფეტი-
და ქალღმერთას. „დიდებულო ფეტიდავ!“ ლმობიერად მიე
სალმა ჰეფესტოსის მშვენიერი მეუღლე: „დიდება და ძლიე-
რება ღმერთების მამათმთავარს ზევსის, რომ ჩვენს კარმიდა-
მოში მოსვლა გაგაბედვინა! ჭეშმარიტად, ძნელი გამოსაცნო-
ბია, თუ რას უნდა მივაწეროთ შენი ასე მოულოდნელად
სტუმრობა!“

ესეთი მისალმების შემდეგ მოსიყვარულე მასპინძელმა
მიიპატიჟა ფეტიდა ქალღმერთა სასტუმრო ოთახში და ოქ-
როს სავარძელი მისთავაზა. აფროდიტამ ფეტიდას სტუმრობის
ამბავი დაუყოვნებლივ თავის მეუღლეს აცნობა.

ჰეფესტოსმა სიჩქარით გამოიცვალა სამუშაო ტანსაცმე-
ლი, სამჭედლოში ყველაფერი თავის რიგზე მიალაგ-მოალაგა,
სამეფო ტანსაცმელში გამოეწყო და ჩვეულებრივის კოჭლობით,
ოქროს ყავარჯენზე დაყრდნობილი, თავისი მუდმივი თანამხლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელ მოსამსახურეებით სასახლის სასტუმრო ოთახისაკენ გაემართა.

ჰეფესტოსი ლმობიერად და მოსიყვარულე კილოთი მიესალმა ფეტიდა ქალღმერთას: „დიდებულო ქალღმერთავ! ჰეშმარიტად ბედნიერი ვარ ჩემ სასახლეში შენის მობრძანებით! განუსაზღვრელი პატივის-ცემით ვიგონებ მუდამ ჟამს შენს სახელს, ჩემო ძვირფასო, დიდებულო ქალღმერთავ, რადგანაც შენგან საუკუნოდ დავალებული ვარ. მე თავის დღეში ვერ დავივიწყებ იმ დიდ ღვაწლს, რომელიც შენ დამდევი სწორედ იმ დროს, როცა დედა ჩემმა ჰერამ ჯერ კიდევ ჩვილი ყმაწვილი ციდან გადმომაგდო. შენ, ჩემო ძვირფასო ქალღმერთავ, სიკვდილს გადამარჩინე, სიცოცხლე უდროოდ არ მომისპე. ცხრა წლის განმავლობაში მღელვარე ზღვის უფსკრულში, შენს სასახლეში განუშორებლივ ვცხოვრობდი და ჩემ ჩვეულებრივ ხელობას ვეწეოდი. ახლა, დიდებულო ქალღმერთავ, მიბრძანე, რისთვის გარჯილხარ. მე დიდი სიამოვნებით აგისრულებ ყველაფერს, რასაც-კი მთხოვ, თუ-კი ჩემის მხრით მოსახერხებელი იქმნა ამ თხოვნის შესრულება.“

ფეტიდა ქალღმერთამ ცრემლების ღაპა-ღუპით ესე განუმარტა ჰეფესტოსს თავისი გულის განუსაზღვრელი მწუხარება: „დიდად პატივცემულო ჰეფესტოს! არც ერთი ქალღმერთა ოლიმპოსზე არ განიცდის იმდენ მწუხარებას, რამდენსაც იგი განიცდის ამ ჟამად ღმერთების მამათმთავრის ზევსის წყალობით. ოლიმპოსის მფლობელის ბძანებით იგი გაჰყვა მეუღლედ მომაკვდავთა შორის დიდებულ ჰელასს, რომლისაგანაც მას შეეძინა დიდებული შვილი აქილევსი. დიდი შრომა და მწუხარება განვიცადე ჩემი შვილის ღირსეულად აღსაზდელად. მართლაც აქილევსის თანასწორი გმირი იშვიათად სადმე მოიძებნება. საბწუხაროდ, როცა ელლინთა და ტროადელთა შორის მშვენიერ ელენეს მოტაცების გამო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ასტყდა, აქილევსი თავისი ერთგული მეგობრის პატროკლოსის თანახლებით ამ ომში მონაწილეობის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღებად გავგზავნე. ელლინთა მთავარ-სარდალსაც ეგონა
და აქილევსს ნადავლის განაწილების დროს უთანხმოება მოუ-
ვიდათ, რის გამო შეურაცხყოფილმა ჩემმა შვილმა ომში მო-
ნაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა. სწორედ ამ დღიდან
იწყება ელლინთა მხედრობის უბედურება ბრძოლის ველზე.
ტროადელების რაზმების მთავარ-სარდალმა ჰექტორმა, გაიგო
თუ არა—აქილევსი ომში მონაწილეობას არ იღებსო, უფრო
მეტის გაბედულობით იერიში მიიტანა ელლინთა მხედრობა-
ზე. ტროადელები თავგანწირულებით ებრძოდნენ ელლინთა
მეომრებს და თითქმის ყველა შეტაკებაში გამარჯვება ტროა-
დელებს რჩებოდათ. საქმე ისე გამწვავდა, რომ ელლინთა
მხედრობას დიდი შიში მოელოდა. აქილევსის გულითადი
მეგობარი პატროკლოსი სულითა და გულით იტანჯებოდა,
როცა ელლინთა ხედრობის ესეთ გაჭირვებულ მდგომარეო-
ბას ხედავდა. ტროადელებმა ისე შეავიწროვეს ელლინთა მე-
ომრები, რომ ბრძოლის ველი დასტოვეს და ხომალდებისა-
კენ იბრუნეს პირი.

„სწორედ ესეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში აქილევსმა
ნება დართო თავის უგულითადეს მეგობარს პატროკლოსს
ომში მონაწილეობა მიეღო და თან თავისი სამხედრო იარაღი
ათხოვა. პატროკლოსი, რასაკვირველია, დასჭრეს ბრძოლის
ველზე და ჩემი შვილის აქილევსის სამხედრო იარაღიც მტერ-
მა გაიტაცა.

„უიარაღოდ დარჩენილი აქილევსი განუსაზღვრელად იტან-
ჯება, მის სასოწარკვეთილებას ბოლო არ უჩანს. გულითადი
მეგობრის სიკვდილი მწუხარებას ერთი ორად უმატებს. დი-
დებულ გმირს საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს სამაგიერო
მიუძღვნას მისი გულითადი მეგობრის მკვლელს, მაგრამ უია-
რაღოდ აბა რა უნდა გააწყოს ბრძოლის ველზე!

„ამიტომ უმორჩილესად გთხოვ, დიდებულო ჰეფესტოს,
შეხვიდე ჩემ მდგომარეობაში და გაუჭედო შენი მადლიანი
ხელებით ჩემ შვილს, დიდებულს გმირთა გმირს, სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღი და ამით მიეც საშვალება მოსისხლე მტერსა
რო მიუძღვნას“.

ჰეფესტოსმა ლმობიერად უპასუხა ფეტიდა ქალღმერთას: „ძვირფასო ქალღმერთავ! გული დაიმშვიდე და სანამ დიდებული მზის სხივები ხვალ დილით დედამიწას მოეფინებოდეს; შენი გმირთა გმირის შვილისათვის სამხედრო იარაღი უკვე მზად იქნება!“

ა. მიქაბერიძე.

ომი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე.

ბალკანის ნახევარ კუნძულზე, ევროპაში, საზარელი ბრძოლაა: ოთხი სახელმწიფო—ბულგარეთი, სერბია, ჩერნოგორია და საბერძნეთი ებრძვიან ოსმალეთს. ამ ბრძოლის ვითარების გასაგებად საჭიროა მოკლედ გავეცნოთ ყველა ამ სახელმწიფოს.

ოსმალეთს უჭირავს ბალკანის ნახევარ კუნძულის შუა ნაწილი, ახლო-მახლო კუნძულებით; მას ეკუთვნის აზიაში—მცირე აზია, ბაბილონია ანუ ირაკ-არაბო, მესოპოტამია, სირია, პალესტინა, სომხეთის ნაწილი, კურდისტანი, არაბეთი, აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ეკუთვნის—ფესანი, ბარკა. ყველა ამ ქვეყნებში დაახლოებით 40 მილიონი მცხოვრებელია, რომელთა შორის ოსმალები მხოლოდ $1^1/_2$ მილიონია; თვით ოსმალეთში, ბალკანის ნახევარ კუნძულზე, 6 მილიონი მცხოვრებელია. ოსმალეთის დედა ქალაქი სტამბოლია (კონსტანტინეპოლი), სადაც $1^1/_4$ მილიონი მცხოვრებია.

ოსმალები ლამაზი, სერიოზული, სტუმართ-მოყვარე, მშრომელი, გულადი ხალხია. ისინი უმთავრესად მიწის მუშა ხალხია; მაჰმადის რჯულს :ღიარებენ, მაჰმადიანები არიან; ფანატიკოსურად ასრულებენ ამ რჯულის წესებს, ე. ი. თავის გონებას არ ენდობიან ამ საქმეში, არ სჯიან იმის

შესახებ, თუ რა არის ამ რჯულში კარგი და რა ავი, ბრძად ენდობიან იმას, რაც მაჰმადის რჯულის უმთავრეს წიგნში ყურანში სწერია და აგრედვე ბრძად უჯერებენ და ემორჩილებიან თავის სამღვდელოებას.

ოსმალეთმა ამ ბოლოს დროს ბევრი განსაცდელი გამოიარა. იქ მოხდა სახელმწიფო წყობილების ცვლილება—რეფორმა, რომელიც იყო შედეგი უმთავრესად ჯარში პროპაგანდისა (აზრების გავრცელებისა); ჯარი მიემხრო რეფორმის მოსურნე ახალგაზდა ოსმალებს და ამიტომ ეს რეფორმა სისხლის დაუღვრელად შესრულდა. ტახტიდან ჩამოაგდეს სულთანი აბდულ-ჰამიდი. მისი მოადგილე ახლა მარტო თავისი უფლებით არ განაგებს ქვეყანას: მოწვეულია პარლამენტი, რომელიც შესდგება ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებისაგან. სულთანსა და მის მინისტრებს არა აქვთ უფლება გამოსცენ კანონები პარლამენტის დაუკითხავად.

ბულგარეთი პატარა ქვეყანაა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. იქ რუსების მონათესავე სლავიანთა მოდგმის ხალხი ცხოვრობს. 1878 წელს ბულგარეთი ოსმალეთის მორჩილებისაგან განთავისუფლდა. დედა-ქალაქს სახელად სოფია ეწოდება. იქ ორასი ათასი მცხოვრებელია. ბულგარეთში $3^1/_2$ მილიონი მკვიდრია, რომელთა უდიდესი ნაწილი—3 მილიონი—ბულგარელებია. სარწმუნოებით ისინი მართლმადიდებლები არიან. ხალხი უმთავრესად სასოფლო მეურნეობას ეწევა, მიწას მუშაობს. სახელმწიფო წყობილება—საკონსტიტუციო მონარქია, ე. ი—ქვეყანას განაგებენ მეფე თავის მინისტრებით; ხალხიდან არჩეულ დეპუტატების კრებას კანონთა გამოცემის უფლება აქვს.

სერბია—ბულგარეთზე ნაკლებია სივრცითა და ხალხის რაოდენობით: იქ $2^1/_2$ მილიონი მცხოვრებელია. დედა-ქალაქს ბელგრადი ჰქვია (80 ათასი მცხოვრებელია). ეს ხალხიც სლავიანთა მოდგმისაა. სერბიაც დამოუკიდებელი სახელმწიფოა. სარწმუმოებით სერბიელები მართლ-მადიდებლები არიან. ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. სახელმწიფო წყობილება ბულგარეთის მსგავსია.

ჩერნოგორია (მონტენეგრო)—დამოუკიდებელი პატარა მთიანი სამთავროა, რომლის მცხოვრებლები, მოდგმით სლავიანები, საქონლის მოშენებას და მიწის მუშაობას მისდევენ. მცხოვრებთა რიცხვი 250 ათასამდეა. დედა-ქალაქ ცეტინიეში 40 ათასი მცხოვრებელია. ტომით ჩერნოგორელები სერბიელები არიან და სერბიულ ენაზე ლაპარაკობენ. სარწმუნოებით მართლ მადიდებლები არიან. ჩერნოგორელები გულადი, გამძლე და მშრომელი ხალხია. სახელმწიფო წყობილება—კონსტიტუციონალური მონარქიაა.

საბერძნეთი—სახელმწიფოა ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის სამხრეთ ნაწილში; ჩრდილოეთით საზღვრავს ოსმალეთი; აღმოსავლეთ-დასავლეთ-სამხრეთით—ზღვა. მცხოვრებთა რიცხვი $2^1/_2$ მილიონია. ხალხი მისდევს ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. სარწმუნოებით მართლ-მადიდებლები არიან.

უკანასკნელი ოთხი სახელმწიფო ებრძვის ოსმალეთს. მიზეზი ბრძოლისა—შევიწროება ოსმალების მხრივ სლავიანთა მოდგმის ხალხისა, რომელიც დასახლებულია მაკედონიაში და ბალკანეთის ნახევარ კუნძულის სხვა-და-სხვა ნაწილში და ოსმალეთის ქვეშევრდომია. საბერძნეთი ებრძვის ოსმალეთს, რადგან სურს გაანთავისუფლოს მისი ქვეშევრდომობისა და შევიწროებისაგან ბალკანეთში და კუნძულებზე მოსახლე ბერძნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანები.

(ძველი ხელნაწერებიდან ამოწერილია გიორგი მიქელაძისაგან).

Ოვალი აქვს პატიოსანი, ხაზინას არ დაედება,—
ცოცხალსა ნაპერწკალსა ჰგავს, აბედსა არ მოედება

ბოსტანშია გადვიხედე—ჯიღოსანი ისი მინდა,—
მარგალიტი ჩაწყობილი, ჯიღოსანი ისი მინდა;
ათას ფერად წახვეული, ტყაოსანი ისი მინდა;
ვინც რომ ამას გამოიცნობს—მეცნიერი ისი მინდა.

ფარადა.

ცაქმელად ვხმარობთ ყველანი—
პურზედა უფრო გრძელია;
ბოლოში ასო გახსოვდეთ
ამ სიტყვის მოსაჭრელია;
ინის მაგივრად ანს დავსვამთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა-კი სიტყვა მთელია.
აქ მოებმება სიტყვაი,
ორი ასოსგან შემდგარი:
ცუდი ტაროსი როცაა,—
ხმა ისმის იმის მედგარი;
ბინძურ ნაგავსაც წაიღებს,—
იმის ხელობა ეგ არი.
აქაც მოაბამთ ერთ ასოს,
რესთან ნაწერი რომ არი;
და ბოლოს ერთი სიტყვაა,
პირველი სიტყვის მშობელი:
ივნისში ნახოთ, დალოცოთ
მუშის მარჯვენა მშრომელი:
მოჭრილს აწყობენ ყანაში,
სახლში-კი ურმით ზიდავენ;
ვინც ვერ მოიწევს იმას ბევრს—
„ზარმაცია“-ო, ჰქირდავენ.
ვინც დაუკვირდეს შარადას—
ადვილი ასახსნელია:
ქართულ მწერლობის ძველ დროდან
საძირკვლის ის ჩამყრელია,—
მნათობი არის ქვეყნისა,
ზეგარდმო მადლით ცხებული:
ათასი წელიც გავიდეს
არ იქნეს დავიწყებული.

ვანო ჭიჭინაძე



1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საუმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.** ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა **5** მან. ნახევარ წლით — **3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი—**3** მან. მოზრდილთათვის **12** წიგნი—**3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის ს., გოლოვ. პრ. № 8. Редакція „Накадули“ Головинскій пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, და მარიამ ეაუხჩიშვილთან. **სამტრედიაში:** ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში** —კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინასარიძესთან. **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო ბაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**— კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**— ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან **ერევანში** —კ ოდიშარიასთან, **სილნალში** — ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Продолжается подписка на 1912 годъ

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

ЗАКАВКАЗЬЕ

(ГОДЪ VII)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Для городскихъ подписчиковъ:

На I годъ 6 р., на 6 мѣс. 3 р. 50 к.

Для иногороднихъ подписчиковъ:

На I годъ 8 р., на 6 м. 4 р. 50 к.

За границу вдвое.

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.

Отдѣльный номеръ **5** коп.

За перемѣну адреса городского на иногородный —1 р. съ иногородного на иногородный—50 к.

Редакція открыта отъ 10 до 3 час. Редакторъ принимаетъ для личныхъ переговоровъ отъ 2 до 3 час. дня.

Редакція и Контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства. Телефонъ редакціи № 917.